საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფაქიზებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

მაგრამ

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი-კვირა, 16-17 ივლისი . 2021 წ. №155-156 (9274-9275) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



სახელმწიფოსა და ხალხზე მხოლოდ მტრები და ძალაუფლების ქურდები ძალადობენ!

პირდაპირ უნდა ითქვას, მიუკიბავ-მოუკიბავად. 5 და 6 ივლისი უმძიმესი დღეები იყო. კაენის სული დატრიალდა. ცელიანი კაენის სული აღზევდა. სულიერი კუნაპეტი ბნელი ღამე ჩამოწვა. მზეს აშკარად შავი ბოროტი ძალები გადაეფარნენ, როგორც შავი ღრუბლები, და დედაძალაძი ჩაუშავეს.

არიძა, ჩვენი დრო მოვიდაო, ხალხის სიმშვიდის პოლიტიკურმა ძურდებმა, და ძვეყნის მოპარვა გადაწყვიტეს, დიახ, ძვეყნის მოპარვა. ჩაირთო მტრული ოპოზიციური სატელევიზიო არტილერია. ჩვეულ ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ ხმაზე აყიჟინდნენ „მთავარი“ (მტარვალი), „ტვ პირველი“, „ფორმულა“, ამ საქაშვილის კუდებს მიტმასნილი კუდა „კავკასია“, რომელიც ბნელ ღამეში კუსავით გამოყოფს ხოლმე ფეხს, მეც ნახირნახირო.

შავი დროშები ააფრიალეს პოლიტიკურმა ქურდებმა, ძალაუფლების მოსაპარად ჩოხები გაისწორეს. იმდენი ქნეს, რომ ძალმომრეობის კოცონი დაანთეს. მომენტის ფეხის ხმას აყოლილი ჟურნალისტები გავეშებულ ბრბოს დააჯახეს, რომელი ბრბოც თავადვე შექმნეს არაერთი წლის მანძილზე თავიანთი ტვინების გამორეცხვის პროპაგანდით. და მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, ბოროტებამ დრო იშოვა, ცოდო-მადლი აურია ერთმანეთში. ცოდვის კალო დაატრიალა. რაღაცით მიახლოვდა თავის შავ მიზანს. მაგრამ საბოლოო ბნელი მიზანი მთლად ვერ მოიახლოვა. თუმცა აშკარად ჩანდა, რა პოლიტიკური მუცლის გვრემაც აქოთქოთებდა – არსებული ხელისუფლების დამხობა, პირველ ნაბიჯად კი პრემიერ-მინისტრის გადადგომა, რასაც ნაბიჯ-ნაბიჯ, კანონიერ არჩევნებამდე, ქვეყნის სათავეში მოქცევა უნდა მოჰყოლოდა.

არჩევნებამდე იმიტომ, რადგან ბოროტებას ხალხის მხარდაჭერის იმედი გადაწურული აქვს, და 11 ივლისის მომხდარი ამბიდან თითქმის ერთი კვირის თავზე, დიდად სამწუხაროდ, მოულოდნელად გარდაიცვალა „ტვ პირველის“ იმ დღეს მძიმედ დაშავებული ოპერატორი ლექსო ლაშქარავა.

პოლიტიკურ ძურდებს ისევ ბნელი ღამის იმედი მიეცათ, ოპერატორის მეტ-ნაკლებად საეჭვო სიკვდილი ეგრევე წინ გაიძღოლეს და მეორედ გაითენეს შავი დღე. 2019 წლის 19-20 ივნისის ანტისახელმწიფოებრივი ტრაგედიის მეორე მოქმედება დააანონსეს. რის ექსპერტიზა, რა ექსპერტიზა. სცენაზე აფუთფუთდნენ პოლიტიკური ძურდი ტურები – აძეთ გვარამია, სანაია, მშვილდაძე, კვესიტაძე, თძვენ წარმოიდგინეთ, თვით პოლიტიკური კახპა ელისო კილაძე, იძით ადამიანის ნიკოტინითა და ბოროტი სიტყვით დამკოდველი ვინმე ვატო წერეთელი, ნამუსგარეცხილი მელაძე და ძართველი ძალობის ყოველგვარი საზღვრის თავზეხელაღებული დამრღვევი ინგა გრიგოლია, რომელსაც თავი მართლა ჟურნალისტი ჰგონია, არადა, თუ ვინმე არცხვენს ძართულ ჟურნალისტიკას, სწორედ ეს ჩაფულფულებული სამტრედიელი ყროყინა ძაჯი.

ერთი სიტყვით, ამ არცთუ იოლ ჟამს, როცა ქვეყანა ყველა ჩვენგანის მხარში დგომას საჭიროებს, ტურებს შავი პოლიტიკური ქორწილი აქვთ იმ იმედით, რომ „მთავარიც“ (მტარვალი), „ტვ პირველიც“, „ფორმულაც“ და მაჩანჩალა „კავკასიაც“ ხვალ ისევ სააკაშვილის უკვე სახელმწიფო ტელევიზიები გახდებიან და აბა, მაშინ ნახეთ, რა ნამდვილ ცოდვის კალოსაც დაატრიალებენ.

დასასრულ, ერთხელ კიდევ ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ ყოველგვარ ძალადობას ერთხელ და სამუდამოდ მტკიცე უარი უნდა ვუთხრათ. ეს კი, რა თქმა უნდა, უწინარესად ეხება ზემოხსენებული ტელევიზიების ყოველდღიურ პოლიტიკურ ძალადობასაც. ძველი ჭეშმარიტებაა, რომ მედია, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ქვეყნის მიუმხრობელი, მიუკერძოებელი ინფორმატორი და არა მხარე, რომელიც თავის მოკლე თუ გრძელი ჭკუით მთავრობას როცა უნდა გადააყენებს და როცა უნდა დანიშნავს.

სახელმწიფოზე მხოლოდ და მხოლოდ მტრები, ძალაუფლების ქურდები ძალადობენ.

პარტიულ ტელებორდელებს ხალხზე გაბატონება სურთ! 3

რუსეთი ბიჭვინთის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს 1 რუბლად ისაკუთრებს 5

გელა ქოქიაშვილი



რევაზ ლალიძე – მზიანი მუსიკის შემოქმედი 9

ირაკლი ღარიბაშვილი:

ზაზა გახელაძე თავისუფალია!

მთელი ერი ხარობს, ყველა ძალიან გახარებულია, მთელი მოსახლეობა ერთი წლის განმავლობაში გულშემატკივრობდა ზაზას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბოლო თვეების განმავლობაში მთავრობა ინტენსიურად მუშაობდა და ზაზა გახელაძის გათავისუფლებისთვის ყველა რესურსი იქნა გამოყენებული.

„დიდი მადლობა ზაზას მშობლებს, მის მეუღლეს, შვილებს. დიდი მადლობა ზაზას გმირობისთვის. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ყველას გვიხარია ზაზას გათავისუფლება. მთელი ერი ხარობს, ყველა ძალიან გახარებულია. მთელი მოსახლეობა ერთი წლის განმავლობაში გულშემატკივრობდა ზაზას. ძალიან მიხარია, რომ ეს დღე დადგა. ჩვენ ბოლო თვეების განმავლობაში ინტენსიურად ვიმუშავეთ. ყველა რესურსი, ყველა ბერკეტი იქნა გამოყენებული ყველა დონეზე პრაქტიკულად და მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მონაწილე ვარ ამ პროცესის. ძალიან ბევრ ვერსიას მოისმენთ. მე გთხოვთ, რომ ვერსიებს აღარ მოუსმინოთ, ჩვენ შევხედოთ შედეგს. შედეგია ის, რომ ზაზა არის თავისუფალი“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ზაზა გახელაძე:

ჩვენი პატრიარქის წყალობითა და ჩვენი მთავრობის გვერდში დგომით ყველაფერი კარგადაა!

ჩვენი პატრიარქის წყალობითა და ჩვენი მთავრობის გვერდში დგომით, ყველაფერი კარგადაა, — ამის შესახებ უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებულმა ზაზა გახელაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, დღეს ყველაფერი კარგადაა და დეტალურად მომდევნო დღეებში ისაუბრებს მისი პატიმრობის შესახებ.

კახა კუჭავა:

ზაზა გახელაძე ოჯახს დაუბრუნდა, ოკუპაცია მალე დასრულდება, ოკუპაცია დროებითია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა ოკუპანტების მიერ უკანონოდ დაკავებული ზაზა გახელაძის გათავისუფლებას ეხმაურება.

მისი თქმით, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების თანმიმდევრული მხარდაჭერით ოკუპაცია მალე დასრულდება, ოკუპაცია დროებითია.

„ერთ წელზე ხანგრძლივი უკანონო პატიმრობის შემდეგ ზაზა გახელაძე ოჯახს დაუბრუნდა. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების თანმიმდევრული მხარდაჭერით ოკუპაცია მალე დასრულდება, ოკუპაცია დროებითია“, — წერს კუჭავა „ტვიტერზე“.

კახა კალაძე:

ერთწლიანი წვალება, ოჯახის, მთელი ქვეყნის ნერვიულობა, მოლაპარაკებები უკან დარჩა

ზაზა გახელაძე დაგვიბრუნდა! ერთწლიანი წვალება, ოჯახის, მთელი ქვეყნის ნერვიულობა, მოლაპარაკებები უკან დარჩა. ზაზა სახლში ბრუნდება, — ამის შესახებ თბილისის მერი კახა კალაძე სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, ოკუპაცია დროებითია, ჩვენი მშვიდობიანი თანაცხოვრება აფხაზებთან და ოსებთან ერთად კი, გარდაუვალი და კანონზომიერი.

„სიმწარენარევი სიხარულია... მინდა მჯეროდეს, მსგავსი სანერვიულო აღარ მოგვეცემა.

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ქვეყანა გვაქვს გასამთლიანებელი!

ოკუპაცია დროებითია, ჩვენი მშვიდობიანი თანაცხოვრება აფხაზებთან და ოსებთან ერთად კი გარდაუვალი და კანონზომიერი“, — წერს კახა კალაძე.

ანტიქრისტიანობა ყოველგვარ ადამიანურ ღირებულებებს სპობს!

არსებობს დაუწერელი წესი, რომ რაიმე დანაშაულის ჩამდენმა, რომელმაც სხვადასხვა მანქანით პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა, სხვის დანაშაულზე არ უნდა ილაპარაკოს. მით უმეტეს, თუ იმ სხვის მიერ ჩადენილი დანაშაული არ მტკიცდება. არ შეიძლება, რომ ბოკერიამ ვინმეს წამებაზე აკეთოს მყვირალა განცხადებები, არ შეიძლება რომ ნოდარ მელაძე ჟურნალისტურ სტანდარტზე ლაპარაკობდეს, ბევრი რამ არ შეიძლება, მაგრამ სამწუხაროდ, ანტიქრისტიანობა ყოველგვარ წესს და ადამიანურ ღირებულებებს სპობს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასე ხდება. ჯერჯერობით!!!, - წერს facebook გვერდზე გია გაბრიჭიძე.

შარლ მიშელი საქართველოს კიდევ ერთხელ ეწვევა

სავარაუდოდ, 19 ივლისს შარლ მიშელი საქართველოს ეწვევა, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ვიზიტის ფარგლებში ევროპული საბჭოს პრეზიდენტს მმართველი გუნდი მიაწვდის სრულ ინფორმაციას 5 ივლისს განვითარებულ მოვლენებსა და იმ რეაგირებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელისუფლებას ძალადობის ფაქტებზე აქვს.

◎ სადღეისო მუნასიბი

მამიდა არ გყავთ?

სრულიად არადიპლომატიური მიმართვა **ბატონ დევიდ კრამერსა და ყველას,** ვინც უხეშად არღვევს საქართველოს სუვერენულ უფლებებს

ბატონო კრამერ,
გკითხავ ერთ რამეს:
ჩვენს პრემიერს რომ გადადგომას ურჩევ, შვილოსა,
ვინ გთხოვა რჩევა უცხო ქვეყნის ყოფილ ჩინოსანს?

კახურად გეტყვი,
კიდევ ერთი კითხვა „მამინდა“:
არ გყავს მამიდა?
თუ გყავს,
სანამდე ტანზე ჯინსებს შემოიხევდე,
იმას მიხედე!

მავანთა შექმნილ ჯოჯოხეთში კუპრს ნუ მოურევ
და გწამდეს,
ცოდვილს რომ უშენოდ უკეთ მოვუვლით!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

სახელმწიფოს დაფინანსებით - მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამებზე კონკურსი დასრულდა. დაფინანსების მოპოვების მსურველებს როგორც ელექტრონული აპლიკაციის შევსება, ასევე ცენტრის ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლა 2 თვის განმავლობაში შეეძლოთ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, აპლიკანტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას განათლების საერთაშორისო ცენტრის კომისია იღებს. თითოეული კონკურსანტის შეფასებას კომისიის წევრები წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აწარმოებენ.

ამჟამად ,,ფულბრაიტის“ სამაგისტრო პროგრამის კონკურსი მიმდინარეობს, რომელსაც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და განათლების საერთაშორისო ცენტრი ერთობლივად ახორციელებს, ასევე, აკადემიური პროგრამები სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ათასწლეულის გამოწვევის ფონდსა და სან-დიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება. მომდევნო აკადემიური წლისათვის სწავლა ასევე დაუფინანსდებათ ცენტრის მიმდინარე გრანტის მფლობელებს. გამარჯვებულთა სია პროგრამების მიხედვით ცენტრის ვებგვერდზე ეტაპობრივად გამოქვეყნდება.

განათლების საერთაშორისო ცენტრმა, რომელიც პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით 2014 წელს შეიქმნა, უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის მსურველი ახალგაზრდებისთვის უკვე 1000-ზე მეტი სტიპენდია გასცა. სტიპენდია მოიცავს როგორც სწავლის საფასურს, ასევე საცხოვრებელ ხარჯებს.

ცენტრი, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ულოცავს გამარჯვებულებს და წარმატებას უსურვებს მათ სწავლის შემდეგ საფეხურზე!

„საქართველომ უნდა გაბედოს და კანონმდებლობაში რელიგიური და ერობრივი გრძნობების შეურაცხყოფის ცნება შეიტანოს“

პარტიულ ტელებორდელებს ხალხზე გაბატონება სურთ!

მეუფე შიოს მოსაზრებით, იმისთვის, რომ აღარ განმეორდეს, რაც „პრაიდზე“ ვიხილეთ და ავიცილოთ ეს მძიმე წუთები, დროა, დავიწყოთ ფიქრი, რათა კანონმდებლობაში აისახოს რელიგიური და ერობრივი გრძნობების შეურაცხყოფის ცნება.

მეუფის განმარტებით, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე ჩვენს ქვეყანაში ხდება ცნებების აღრევა, ცდილობენ, სოდომურ ცოდვას სიკეთე და ღირსება უწოდონ. ამას ჩვენი ერი და ეკლესია ვერასდროს შეეგუება და რამდენჯერაც იქნება მსგავსი ღონისძიების ჩატარების მცდელობა, ერი ყოველთვის გამთლიანდება მის წინააღმდეგ.

გაბედავს თუ არა ჩვენი ხელისუფლება კანონმდებლობაში ასახოს რელიგიური და ერობრივი გრძნობების შეურაცხყოფის ცნება?! თუ დასავლეთის რეკომენდაციებს დაელოდება ამ მიმართულებით?

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე** ფიქრობს, რომ კანონმდებლობაში უნდა აისახოს რელიგიური და ერობრივი გრძნობების შეურაცხყოფის ცნება. ამ მხრივ სერიოზული სამუშაო აქვს ჩასატარებელი არა მხოლოდ პარლამენტს, არამედ აქ უნდა იყვნენ ჩართულნი უფლებადამცველებიც, რომ მართლაც არ მოხდეს ზღვარის გადალახვა და, ერთი მხრივ, დაცულ იქნას ლგბტ ჯგუფის უფლებები, მეორე მხრივ, არ უნდა იყოს იმის საშუალება, რომ ვიღაცის პირადი ცხოვრება ვინმემ ბიზნესისთვის ან ქვეყნის რყევისთვის გამოიყენოს.

— პირადად მეც შემიძლია მოვიძიო და პარლამენტსაც შეუძლია მოიძიოს, დემოკრატიულ ქვეყნებში ეს საკითხი როგორ რეგულირდება, თუნდაც იმავე ევროპულ ქვეყნებში როგორ არის ეს დემოკრატიულად და სწორად დარეგულირებული. ეს რეგულაციები ჩვენს ქვეყანაშიც უნდა შემოვიდეს, ვინაიდან „პრაიდების“ თემა გახდა ძალიან აქტუალური მას მერე, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციურ ძალად იქცა. ჩემთვის ეს ტერმინი (ოპოზიციური ძალა) „ნაციონალებთან“ მიმართებით აბსოლუტურად მიუღებელია, რადგან ეს არის კრიმინალური ძალა, რომელმაც ძალაუფლების უზურპაცია მოახდინა“, — აცხადებს ნანა კაკაბაძე.

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილის** აზრით, კანონმდებლობაში უნდა აისახოს ეროვნული და ზნეობრივი გრძნობების შეურაცხყოფის ცნება. თუ აუცილებელია, ამას უნდა დაემატოს მედიის რეგულაციაც, რადგან მედია იმიტომ ჰქვია, რომ მან არ უნდა დაკარგოს მედიატორის ფუნქცია ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ამ დროს ჩვენი მედიის ნაწილი თავის ფუნქციას არ ასრულებს და, პირიქით, ხალხის გასაბითურებლადაა მოვლენილი და დაქირავებული პოლიტიკური პატრონების ხელში, რომლებიც ერთმანეთსაც აბითურებენ და, საბოლო ჯამში, აბითურებენ ხალხსაც.

„ამ დღეებში კარგად გამოჩნდა, როგორ „უყვარს“ ხალხს ცალკეული მედიასაშუალებები. საჭიროა გარკვეული რეგულაციები ფეიკნიუსების, რადიკალური პროპაგანდის, ექსტრემიზმის წინააღმდეგ, ამას სჭირდება ამდენი ხალხის, მდუმარე უმრავლესობის პოზიციების გახმიანება და გაზიარება. ერთი კვირის განმავლობაში ეს ხალხი იხვეწებოდა, ნუ ჩავატარებთ „პრაიდს“, ვითარება დაიძაბებაო, მაგრამ არავინ უსმინა“, - აცხადებს დავით ზარდიაშვილი და შეკითხვის საპასუხოდ, გაბედავს თუ არა ჩვენი ხელისუფლება დასავლეთის შიშით ასეთი კანონმდებლობა შექმნას, განმარტავს, რომ დასავლეთი სწორედ იმიტომ არის მიმზიდველი, რომ მის მიმართ შიში არ უნდა არსებობდეს.

ანალიტიკოსის განმარტებით, შიში არსებობდა საბჭოთა რუსული იმპერიის მიმართ და დღემდე არსებობს, რადგან საბჭოთა იმპერია განასახიერებდა ძალადობას, ხელების გადაგრეხის და ჩექმის პოლიტიკას, დასავლეთი კი ასეთი არ არის.

„თუნდაც უნგრეთში აბსოლუტურად სხვა ვითარებაა, იქ არ არის ძალა, რომელიც მთელ ევროკავშირში დომინანტურია ლგბტ თემის დაცვის თვალსაზრისით, ამიტომ უნგრეთში სახელმწიფო კანონი მიიღეს, რომელიც სკოლებში კრძალავს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ლგბტ პროპაგანდისთვის. მართალია, ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრის რეპლიკა იყო, რომ ასეთი უნგრეთის ადგილი ევროკავშირში არ არისო, მიუხედავად ამისა, უნგრეთს საკუთარ პოზიციას ვერავინ აცვლევინებს. შიშით მოქმედება დასავლეთის მიმართ წარმოუდგენელია. ეს დასავლეთის დისკრედიტაციაცაა და შეშინებული ადამიანების დისკრედიტაციაც. ამიტომ საქართველომაც უნდა გაბედოს კანონმდებლობაში ასეთი ჩანაწერის შეტანა. მით უმეტეს, ასეთი პრეცედენტები არის ცივილიზებულ მსოფლიოში. სხვათა შორის, ფეიკნიუსების წინააღმდეგი კანონმდებლობა თვითონ ევროკავშირში მოქმედებს. ეროვნული და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის სანქცირებაც უცხო არ არის ევროპისთვის“, — აცხადებს დავით ზარდიაშვილი და განმარტავს, რომ ეს არ უნდა მოხდეს ხელოვნური დისკრიმინაციის და ვინმეს უფლებების ხელოვნურად შეზღუდვის ხარჯზე.

მისივე აზრით, თვითონ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის აგრესია ლგბტ-ეების წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ ლგბტ-ეების ორგანიზატორების და მედიის წინააღმდეგ, რომლებიც ამ თემით თავს იმდიდრებენ და ცდილობენ ხალხზე გაბატონდნენ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

<u>მეუფე დავითი:</u> ძალიან ვწუხვარ, რომ ადამიანი გარდაიცვალა, მას პატრიარქთან მისვლა უნდოდა, რომ ეთქვა, შენი ერთ-ერთი გზაშეცდომილი შვილი ვარო!

არ ვეთანხმებით არანაირ იძულებას, ძალდატანებასა და მით უფრო შეურაცხყოფას, მაგრამ რადგან კაცნი ვართ, ხრწნად ხორცში მყოფნი, ადამიანი უშეცდომო არ არის. ერთი შეცდომა არ უნდა განზოგადდეს მრავალთა მიმართ, ეს მიუღებელია ეკლესიისთვის და ასევე მიუღებელი უნდა იყოს ქრისტიანისთვის, — ასე გამოეხმაურა აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი თბილისში 5-6 ივლისის განვითარებულ მოვლენებს.

მეუფე დავითისთვის მომხდარი სამწუხარო მოვლენაა, თუმცა სინოდის წევრი იქვე განმარტავს, რომ საზოგადოების გაღიზიანება ეკლესიის, სასულიერო პირებისა და პატრიარქის მიზანმიმართულმა შეურაცხყოფამ გამოიწვია, რაც გარკვეული ჯგუფის მიერ შედეგზე ორიენტირებული და კარგად გათვლილი იყო. მეუფის შეფასებით, განვითარებული მოვლენების დროს იკითხებოდა აშკარა მუქარა როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს მიმართ, რაც კატეგორიულად მიუღებელია.

„რაც მოხდა 5-6 ივლისს ეს იყო სამწუხარო ფაქტი, მწუხარების მიზეზი არის ის, რომ იქ მისულ ადამიანებს არანაირად არ აფიქრებთ ქვეყანა, სამშობლო, ეკლესია და ტრადიცია და მხოლოდ თავისი მიზნის მისაღწევად ხმარობენ ყველა ფორმასა და მეთოდს.

ყველა მომხდარ ფაქტს დაკვირვება, გამოკვლევა და გამოძიება სჭირდება. რა იყო განმაპირობებელი ხალხის ასეთი რეაქციის და ხომ არ იყო მიზანმიმართული, გათვლილი ნაბიჯი ამ მიღებულ შედეგზე ორიენტირებული. თავისთავად ეკლესია ვერ იქნება ვერანაირი უწესრიგობის მომხრე. ეს უწესრიგობა შეიძლება იყოს მრავალფეროვანი, ერთი — ვთქვათ, შეურაცხყოფა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის, მეორე — ძალის გამოყენება. საეკლესიო და ქვეყნის ისტორიაში ინკვიზიცია, ასეთი მოვლენა არ გვქონია. ჩვენთან არასოდეს ყოფილა მსგავსი დამოკიდებულება განსხვავებული აზრის მიმართ.

რაც მოხდა 5-6 რიცხვში, ვფიქრობ, რომ არ იყო მხოლოდ ორი დღის მიზეზი, ამას წინ უსწრებდა ცილისწამება ქვეყანაზე, ეკლესიაზე, მაღალ იერარქებზე და კერძოდ, პატრიარქსა და სასულიერო პირებზე. არამხოლოდ ერის ადამიანები, არამედ სამწუხაროდ, სასულიერო დასიდანაც კი ზოგიერთები ცილისწამებას ავრცელებდნენ. ამან, როგორც ჩანს, მთლიანად მორწმუნე საზოგადოებაში შეამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ წინასწარ გაღიზიანებული მისულიყო ამ შეკრებაზე. საერო ნაწილი პირდაპირ მოითხოვდა თავისი ცოდვიანი, უმსგავსო ცხოვრების წესის არათუ მხოლოდ გამოფენას, დღესაც მოითხოვენ დაკანონებას.

დღეს რა მოწოდებებიც ისმის, რომ გადადგეს პრემიერი და პატრიარქი დაიჭირონ, დააპატიმრონ, მე მახსენდება ბოლშევიკების პერიოდი, როდესაც ამბროსი ხელაია და სხვა სასულიერო პირები მხოლოდ იმიტომ დაიჭირეს, ზოგი გაანადგურეს კიდეც მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სწამდათ ღმერთი, ქრისტე.

მოციქული ამბობს, ჯვარი ჩვენ მორწმუნეთათვის ეს არის ძალა ღვთისა და იმედი ღვთის შეწევნისა, ხოლო ურწმუნოთათვის ეს არის სიცოფე და უგუნურობა. ჩვენ ეს დავინახეთ, სიცოფე და უგუნურობა ამ მოვლენების შემდეგ, როდესაც რუსთაველზე აღიმართა ჯვარი. ზოგადად, ეს ჯვარი არის ჩვენი უძლეველი სიმბოლო, რომლისაც ეშინია ეშმაკს, ეშმაკის ხილული გამოხატულებაა — სიცოფე და უგუნური, უღონო მრისხანება.

აქედან გამომდინარე, რაც მოხდა, ვამბობთ არამხოლოდ მე, არამედ სინოდის ყველა წევრი და თავად პატრიარქი იმიტომ, რომ თუ ვინმეს ჩვენს ქვეყანასა და ეკლესიაში აქვს დიდი ძალა მიმტევებლობისა და ურისხველობის, არის პატრიარქი. როგორც მას პიროვნულადაც აქვს და საეკლესიო მამებიდანაც აქვს ნასწავლი, ასევე — ჩვენ. არანაირად არ ვეთანხმებით არანაირ იძულებას, ძალდატანებას და მით უფრო შეურაცხყოფას, მაგრამ რადგან კაცნი ვართ, ხრწნად ხორცში მყოფნი, ადამიანი უშეცდომო არ არის. ერთი შეცდომა არ უნდა განზოგადდეს მრავალთა მიმართ, ეს მიუღებელია ეკლესიისა და ასევე მიუღებელია ქრისტიანისთვის.

ძალიან ვწუხვარ, რომ ის ადამიანი გარდაიცვალა. მაქვს ინფორმაცია, რომ მან ბოლოს ითხოვა პატრიარქთან შეხვედრა ბოდიშის მოსახდელად და ამ მინაწერში, რომელშიც ამ ადამიანის მეგობარი ქალბატონი წერდა, უნდოდა, რომ მას ბოდიშის შემდეგ პატრიარქთან მისვლა და მოხვევა, რომ ეთქვა, ის არის მისი ერთ-ერთი გზაშეცდომილი შვილი, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ქალბატონმა ვერ მოახერხა ამ ადამიანის შეხვედრა პატრიარქთან და გარდაცვალების შემდეგ მას უხდიდა უკვე ბოდიშს, რომ დროულად ვერ იზრუნა“, — განაცხადა მეუფე დავითმა.

ყოფილმა მენეჯერმა ბანკიდან მილიონები მოიპარა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ერთ-ერთი კომერციული ბანკის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე, ამავე ბანკის ბათუმის ფილიალის ყოფილი **მენეჯერი დააკავა.** გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, 2015 წლიდან 2021 წლის აპრილის ჩათვლით პერიოდში, დაამზადა ანაბრის გახსნისა და დახურვის ყალბი ხელშეკრულებები, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები, რა გზითაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ბანკის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს. გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ მითვისებული თანხა ჯამში შეადგენს 2 467 667 ლარს, 180 480 აშშ დოლარს და 80 000 ევროს.

მსოფლიო ბაზარზე ფასები შემცირდა, თქვენ რას აპირებთ ქართველო სპეკულანტებო?!

12-თვიანი შეუჩერებელი ზრდის შემდეგ, ივნისში, სურსათზე მსოფლიო ფასები შემცირდა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ინფორმაციით, ხორბლის ფასი ივნისში 2,6%-ით შემცირდა. მცენარეული ზეთების ფასის ინდექსი მაისთან შედარებით, 9,8%-ითაა შემცირებული, ხოლო რძის პროდუქტების ფასების ინდექსი — 1%-ით. „კომერსანტი“ დაინტერესდა, როდის აისახება ფასთა ცვლილება ქართულ დახლებზე გამოტანილ პროდუქტებზე.

დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტს ივა ჭყონიას პროდუქტის გაიაფებაზე საუბარი უჭირს. მიუხედავად იმისა, რომ სურსათზე ფასები შემცირდა, ბიზნესმენი ყურადღებას საწვავის რეკორდულად გაზრდილ ღირებულებაზე ამახვილებს, რაც, მისი თქმით, ფასების ზრდას იწვევს. დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი ამბობს, რომ როგორც კი მიმწოდებლები ფასს დააკორექტირებენ, სურსათზე ფასების კლება საქართველოშიც დაიწყება.

„ამ ეტაპზე ფასების შემცირებასთან დაკავშირებით საუბარი ძალიან გამიჭირდება, რადგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი — საწვავი — კატასტროფულ ნიშნულთანაა მისული. ამიტომ, ძალიან რთულია, ფასებზე ვისაუბროთ. ამ ეტაპზე ჩვენი მომწოდებლისგან ფასის ცვლილებას ადგილი არ აქვს, როგორც კი მათ მიერ გარკვეულ პროდუქტებზე ფასები შემცირდება და ლარი სტაბილურობას შეინარჩუნებს, შესაძლებელი იქნება, უახლოეს პერიოდში რიგ პროდუქციაზე შემცირებული ფასები ვნახოთ. ახლა ცოტა რთული პერიოდია, რადგან მარაგები მთავრდება, ახალი მოსავლიანობა როდესაც დაიწყება, შეგვიძლია ამ საკითხზე თავისუფლად ვისაუბროთ“, — თქვა ივა ჭყონიამ.

ივა ჭყონიასგან განსხვავებით შემცირებულ ფასებზე საუბრობენ საკვები და პირველადი მოხმარების პროდუქტების დისტრიბუტორ კომპანიაში „მზიური“. მზესუმზირის ზეთის Oleina ექსკლუზიური წარმომადგენელი კომპანიის ფინანსური მენეჯერი ზვიად კაშია აცხადებს, რომ კლება პროდუქტზე უკვე ასახულია. მისი თქმით, სხვაობამ 10 პროცენტი შეადგინა. როგორც კაშია ამბობს, სურსათზე ფასების კლების ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

„ფასები ზეთზე უკვე ქვევითაა წამოსული. თუ ერთი თვის წინ პროდუქტი დახლზე 8-9 ლარი ღირდა, ახლა მისი ფასი 5,5 ლარია. ჩვენს პროდუქტზე, ზეთ „ოლეინაზე“ ფასი იგივე ტემპით არ შემცირებულა, რადგან ძველი ნაშთი გვაქვს, ამჯერად სხვაობა სადღაც 10 პროცენტია. სავარაუდოდ მომავალ თვეში კიდევ 10 %-ით შემცირდება. შემდეგი თვის შეკვეთები ჯერ არ გაგვიკეთებია და ზუსტი რიცხვის დასახელება გამიჭირდება. მაქსიმალურად ვცდილობთ, მარაგები ამოვწუროთ და პროდუქტი შემდეგ შევუკვეთოთ, რათა იმ დროისათვის არსებული ფასით შევისყიდოთ. ვვარაუდობთ, რომ ოქტომბერ-ნოემბერში შარშანდელ ფასებს გაუთანაბრდება, რადგან წელს მოსავალი კარგია“, — აცხადებს ივა ჭყონია.

შეგახსენებთ, რომ მზესუმზირის ზეთი ყველაზე მეტად — 85%-ით გაძვირდა. საქართველოში მზესუმზირის ზეთის მთავარი იმპორტიორი რუსეთია. მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში საქართველომ სულ 13 324 ტონა ზეთის იმპორტი განახორციელა ($18,957 მლნ), აქედან რუსეთის წილი იყო 88,8%, ანუ 11 831 ტონა ($16,8 მლნ). დანარჩენი იმპორტიორი ქვეყნები კი იყვნენ — აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქეთი.

ვაზის ჯიშების მონაცემთა ბაზის სრულყოფაში საქართველოს ფრანგული მხარე დაეხმარება

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი **ლევან უჯმაჯურიძე** საფრანგეთის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს ეროვნული ინსტიტუტის ვაზის გენეტიკური რესურსების კოლექციის დირექტორს სესილი მარშალს შეხვდა. ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ავრცელებს.

„ლევან უჯმაჯურიძემ სტუმარს ჯიღაურას მრავალწლოვანი კლუტურების საცდელ-სადემონტრაციო ბაზაზე ვაზის კოლექციები და ლაბორატორიებში მიმდინარე სამუშაოები გააცნო. მხარეებმა მევენახეობის მიმართულებით ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაზე, ვაზის გენეტიკური რესურსების გაცვლაზე, ერთობლივ კვლევებსა და სპეციალისტების გადამზადებაზე იმსჯელეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ფრანგული მხარე საქართველოს ვაზის ჯიშების შესახებ მონაცემთა ბაზის სრულყოფაში დაეხმარება. მხარეებმა სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესზეც ისაუბრეს, რომელსაც სახელმწიფო 2016 წლიდან აქტიურად ახორციელებს. მაღალი კატეგორიის საბაზისო სადედე ნარგაობის მოწყობის მიზნით, ჯიღაურას ბაზაზე 2021 წელს, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ფინანსური მხარდაჭერით ეკრანული სათბურები მოეწყო, საიდანაც საკვირტე და საძირე მასალა სანერგე მეურნეობებში სადედეების მოსაწყობად გავრცელდება.

აღსანიშნავია, რომ INRAE-ს დაქვემდებარებაში მყოფ ვასალ მონპელიეს ვაზის ბიოლოგიური რესურების ცენტრში, 55 ქვეყნიდან 5000 -მდე ნიმუშია თავმოყრილი; აქედან კულტურული ვაზის 2600-მდე ჯიში და ველური ვაზის 400-მდე ფორმაა. კოლექციაში ასევე დაცულია 400 საძირე და ვიტისის გვარის სხვადასხვა სახეობა.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს ეროვნული ინსტიტუტთან (INRAE) თანამშრომლობის მემორანდუმს 2019 წელს მოაწერა ხელი. მემორანდუმი ერთობლივი პროექტების შემუშავებას და უწყებების დაქვემდებარებაში არსებულ ბაზებზე გაშენებული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნების შესწავლას, სპეციალისტების,ინფორმაციის გაცვლას და ერთობლივ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას გულისხმობს“ — ნათქვამია ინფორმაციაში.

საქართველოს ერთდროულად 114 603 სტუმრის მიღება შეუძლია

საქართველოში, 2021 წლის აპრილის მდგომარეობით, 47 638 ოთახითა და 114 603 საწოლი ადგილით სულ 3138 ტურისტის განთავსების ობიექტი ფუნქციონირებდა. საწოლი ადგილების რაოდენობა 2019 წელს 5167-ით, 2016-2019 წლებში კი ჯამში 19 769-ით გაიზარდა. უახლოეს წლებში დამატებით 390 განთავსების ობიექტის გახსნაა დაგეგმილი, რომლებსაც ერთდროულად 37 000-მდე სტუმრის მიღება შეეძლებათ.

განთავსების ობიექტების მიხედვით ყველაზე ბევრი — 1294 საოჯახო სასტუმროა — საერთო რაოდენობის 41%-ზე მეტი, თუმცა მისი წილი ოთახებში მხოლოდ 17%-ა, საწოლ ადგილებში კი — 19%. სასტუმროების რაოდეონობა საოჯახო სასტუმროებს ოდნავ ჩამორჩება და 1159-ს შეადგენს, სამაგიეროდ, ოთახებისა და საწოლი ადგილების რაოდენობით უპირობო ლიდერის პოზიციას იკავებს. მისი წილი ოთახების რაოდენობაში 67%, საწოლი ადგილების რაოდენობაში კი 63%-ა.

რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი 591 განთავსების ობიექტი სამეგრელო-ზემო სვანეთშია აღრიცხული. 498 სასტუმროთი თბილისი მეორე ადგილს იკავებს, სამეულს კი 488-ით აჭარა ასრულებს. განთავსების ობიექტების რაოდენობა 300-ს აჭარბებს ასევე: სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში. რაჭა-ლეჩხუმში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში კი ჯამში მხოლოდ 157 ობიექტია.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა საწოლი ადგილების მიხედვით, სადაც 29 413 საწოლით პირველ ადგილზე აჭარაა, 25 128 საწოლით მეორე ადგილს თბილისი იკავებს, 17 645 საწოლით კი მესამეზე სამცხე-ჯავახეთია. ყველაზე ცოტა 1010 საწოლი ამ შემთხვევაშიც ქვემო ქართლშია.

2011-2019 წლებში საქართველოში შემოსულ საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 200%-ით 3.116 მლნ-დან 9.358 მლნ-მდე გაიზარდა, მათ შორის ტურისტების რაოდენობა 177%-ით, 1.833 მლნ-დან 5.080 მლნ-მდე. 2020 წელს პანდემიისა და კოვიდრეგულაციების პირობებში საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობა 4.77-ჯერ 1.087 მლნ-მდე შემცირდა. საიდანაც ნახევარი იანვარ-თებერვალზე, ანუ იმ პერიოდზე მოდის, სანამ საზღვრები ჩაიკეტებოდა. დარჩენილი 0.5 მლნ-დანაც აბსოლუტური უმრავლესობა ტურისტად აღირიცხა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ქვეყანაში 24 სთ-ზე მეტი დრო დაჰყვეს და რეალურად მათი ვიზიტის მიზანი დასვენება არ ყოფილა.

ინდუსტრიაში შექმნილი კრიზისის გამო სასტუმროების მშენებლობა შეჩერდა ან გადავადდა. სხვა პატარა სასტუმროებთან ერთად 1 წლით გადაიდო თბილისში, პუშკინის სკვერში მდებარე პანორამა თბილისის პირველი ობიექტის Luxury Collection-ის 220-ნომრიანი სასტუმროს გახსნაც, რომლის საინვესტიციო ღირებულებაც 100 მლნ დოლარს აჭარბებს.

აპრილიდან მოყოლებული, მესამე თვეა, ტურისტების რაოდენობა სამნიშნა პროცენტული მაჩვენებლით იზრდება. ივნისში ზრდის ტემპმა 362%-საც მიაღწია, მაგრამ ასეთი ზრდის მიუხედავად, აბსოლუტური რიცხვები პანდემიამდელი პერიოდის მეოთხედსაც ვერ აღწევს, მაშინ როცა მთავრობას ტურიზმის 50%-ით აღდენის იმედი ჰქონდა.

მთავრობის მსგავსად ოპტიმისტურადაა განწყობილი „თიბისი“ კაპიტალიც. ორგანიზაციის პროგნოზით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2021 წელს 40%-ით აღდგება, 2022 წელს კი პანდემიამდელი პერიოდში მაჩვენებელს 10%-ით გადააჭარბებს. პროგნოზის გამართლების შემთხვევაში მიმდინარე წელს საქართველო ტურიზმიდან 1.32 მლრდ დოლარს, ხოლო გაისად 3.6 მლრდ დოლარს მიიღებს.

ქუთაისის აეროპორტიდან ახალი მიმართულება შიმკენტი იქნება

ცოტა ხნის წინ, ქუთაისის განახლებული საერთაშორისო აეროპორტიდან ყაზახურმა დაბალბიუჯეტიანმა ავიკიაკომპანია FlyArystan-მა შიმკენტიდან პირველი პირდაპირი რეგულარული რეისი შეასრულა. შიმკენტი — მეოთხე მიმართულებაა, სადაც დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტიდან ყაზახეთში მოხვედრა დღეიდან, კვირაში ორი სიხშირით არის შესაძლებელი. პირველი რეისის მგზავრებს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ორგანიზებით ტრადიციულად სიმბოლური საჩუქრები დაურიგდათ.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის მოადგილის ლევან ცხადაძის განცხადებით, ახალი ყაზახური მიმართულება დანარჩენი სამი მიმართულების მსგავსად მოთხოვნადი იქნება.

ივლისის თვეში ქუთაისიდან ცენტრალური აზიის მიმართულებით 42 პირდაპირი რეისი შესრულდება. FlyArystan-ი დღეისთვის ქუთაისის მიმართულებით ფრენებს უკვე ასრულებს ატირაუდან, აქტაუდან და ნურ-სულთანიდან.

თბილისს 21-ე დაძმობილებული ქალაქი ჰყავს

24-წლიანი პარტნიორული ურთიერთობების შემდეგ, თბილისსა და ბაქოს შორის დაძმობილების მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თბილისის მერმა კახა კალაძემ და ბაქოს მერმა ელდარ აზიზოვმა მოაწერეს.

„ძალიან მნიშვნელოვანია დაძმობილების მემორანდუმი, რომელიც დღეს თბილისსა და ბაქოს შორის გაფორმდა. ჩვენს ქალაქებს შორის არსებობდა ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა. იმედი მაქვს, მემორანდუმი დიდ წვლილს შეიტანს საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობების გაღრმავებაში. შექმნის პირობებს, რომ ჩვენი ურთიერთობები გახდეს უფრო საინტერესო და მეგობრული სხვადასხვა სფეროში“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მემორანდუმი მოიცავს თანამშრომლობას კულტურის, ხელოვნების, ტურიზმის, ურბანული დაგეგმარების, გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ენერგოეფექტურობის, ნარჩენების მართვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სფეროებში ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების გზით, ასევე, სავაჭრო და ბიზნესურთიერთობების გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით.

„ჩვენს ხალხებს აკავშირებს ათასწლეულების ურთიერთობა, რომელსაც ჩვენ უმაღლეს შეფასებას ვაძლევთ. ბევრი მიღწევა გვაქვს თანამშრომლობის კუთხით სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია სახალხო დიპლომატია და ორ ხალხს შორის არსებული მეგობრობა. მემორანდუმი, რომელსაც დღეს ხელი მოვაწერეთ, ჩვენი ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცებას შეუწყობს ხელს“, - აღნიშნა ბაქოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა ელდარ აზიზოვმა.

თბილისის მერთან ერთად დელეგაციაში იმყოფებოდა მერის მოადგილე ილია ელოშვილი.

კახა კალაძე აზერბაიჯანის პრეზიდენტს და პრემიერს შეხვდა

თბილისის მერი კახა კალაძე აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები და სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ხაზი გაესვა თბილისისა და ბაქოს დაძმობილების მნიშვნელობას, რომლის მემორანდუმს 14 ივლისს მოეწერა ხელი.

„მნიშვნელოვან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ბაქო და თბილისი დღეიდან დაძმობილებული ქალაქებია, თუმცა, ორ ქვეყანას შორის აქამდეც ყოველთვის ძმური და მეგობრული ურთიერთობები არსებობდა. აზერბაიჯანი პირადად ჩემთვის არის მეგობარი ქვეყანა, აქ ბევრი მეგობარი მყავს, - აღნიშნა კახა კალაძემ.

შეხვედრაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ისაუბრა ბაქოსა და თბილისის დაძმობილების მნიშვნელობაზე და აღნიშნა კახა კალაძის პირადი წვლილი საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების განმტკიცებაში.

„მოგესალმებით აზერბაიჯანში. ვიცი, რომ ხელი მოაწერეთ მეტად მნიშვნელოვან შეთანხმებას ბაქოსა და თბილისის დაძმობილების შესახებ. ჩვენს ქვეყნებს, ხალხებს შორის ყოველთვის არსებობდა ძმური ურთიერთობები და ამჯერად, ჩვენი დედაქალაქების დაძმობილება ჩვენი ძმობის ბუნებრივი გაგრძელებაა. მსოფლიოში ბევრი ლამაზი ქალაქია, მაგრამ ბაქო და თბილისი გამოირჩევიან მათთვის დამახასიათებელი სილამაზით და კულტურით, იმით, რომ დიდ ყურადღებას უთმობენ ისტორიულ ძეგლებს. ვიცი, რომ თქვენ დიდ ძალისხმევას იჩენთ თბილისის კეთილმოწყობისთვის, ასევე, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარებისთვის“, - განაცხადა ილჰამ ალიევმა.

* * *

კახა კალაძეს თბილი, მეგობრული შეხვედრა ჰქონდა აგრეთვე ქვეყნის პრემიერ **ალი ასადოვთან**.

რუსეთი ბიჭვინთის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს 1 რუბლად ისაკუთრებს

მეგობრობის, მშვიდობისა და თანხმობის შესახებ რუსი და აფხაზი ჩინოსნების განცხადებების მიუხედავად, სტრატეგიულ პარტნიორ რუსეთის ფედერაციასთან აფხაზეთის ურთიერთობები დღითი დღე უარესდება. ასეთ დასკვნამდე მივყავართ, მათ შორის, მთელი რიგი აფხაზური საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლების ბოლო დღეების საჯარო განცხადებებს, რომლებშიც რუსეთის ქმედებები საჯაროდ პირველად შეფასდა „აფხაზური მიწების ხელში ჩაგდებად“.

პირველებმა საკუთარი აზრი საზოგადო მოღვაწეებმა გამოხატეს. მათ პრეზიდენტ ასლან ბჟანიას ღია წერილით მიმართეს, რომელშიც სთხოვენ, შეირჩეს საკუთრების ოპტიმალური ფორმა რუსეთის ფედერაციის დაცვის ფედერალური სამსახურისთვის „ბიჭვინთის“ სახელმწიფო აგარაკის გადასაცემად.

„განსაკუთრებით ფასეულ აფხაზურ მიწებზე მდებარე ობიექტების გასხვისების საკითხი საზოგადოებაში ყოველთვის მწვავე რეაქციას იწვევს. თუ (რუსეთის ფედერაციის დაცვის ფედერალურ სამსახურთან – რედ.) შეთანხმება შემოთავაზებული გადაწყვეტილების ყოველმხრივი წინასწარი ანალიზისა და დასაბუთების გარეშე იქნება მიღებული, ამას შესაძლოა, არასასურველი შედეგები მოჰყვეს, შიდა პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის ჩათვლით“, - ნათქვამია რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ მიმართვაში, რომელსაც იმ მომენტისთვის 29 საზოგადო მოღვაწე აწერდა ხელს.

რუსეთის დაცვის ფედერალურ სამსახურთან დაპირისპირების ისტორია რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ამ რუსული უწყების წარმომადგენლები ჯერ კიდევ წლების წინ განთავსდნენ ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის ტერიტორიაზე, რომელსაც, ზოგიერთი ინფორმაციით, უკვე დღეს შეუძლია, საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტის სტატუსზე იქონიოს პრეტენზია. პირველებმა ხმა აღიმაღლეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომლებიც ერთბაშად გაწერეს კუთვნილი სახლებიდან და მიმდებარე ტერიტორია მაღალი მავთულხლართით შემოუღობეს.

მოგვიანებით მავთულხლართს საკონტროლო-გამშვები პუნქტის მშენებლობა მოჰყვა, ხოლო შემდეგ – გადაადგილების განსაკუთრებული რეჟიმიც, რომლის „წყალობით“ ამ ტერიტორიაზე ვერც ერთი ადგილობრივი ველარ დგამს ფეხს.

„ჩვენ არა მარტო ჩაწერა გაგვიუქმეს, არამედ საკუთარ სახლებში შესვლა-გასვლის უფლებაც ჩამოგვართვეს. მეზობელი გარდაგვეცვალა ისე, რომ სასწრაფოს მოსვლამდე ვერ მიატანა. როგორც შემდეგ გაირკვა, შემოღობილ ტერიტორიაზე მედიკოსები რუსეთის დაცვის ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა არ შემოუშვეს“, – გვიამბო ჩვენმა რესპონდენტმა, ადგილობრივმა ლიუდმილამ. მისივე თქმით, თავის დროზე მოსახლეობამ სასამართლოსაც მიმართა, თუმცა სახელმწიფომ მათ დახმარებაზე უარი თქვა – თავი მოიკატუნა, თითქოს პრობლემა არ არსებობდეს.

ვითარება მკვეთრად შეიცვალა, როცა ბიჭვინთაში, სახელმწიფო აგარაკის ტერიტორიაზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონების რუსეთისთვის გადაცემის საკითხმა პარლამენტამდე მიაღწია. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, რუსეთის დაცვის ფედერალურ სამსახურს 1 რუბლად გადაეცემა 184 ჰა საერთო ფართობის მიწის ნაკვეთები და ზღვის მიმდებარე აკვატორია. ამასთან, ახალი შეთანხმებისამებრ, რუსეთს საკუთრების უფლება ექნება ყველა იმ შენობა-ნაგებობაზეც, რომელიც ამ ტერიტორიაზე სამომავლოდ აშენდება. ანუ, ბიჭვინთის მთელი აღმოსავლეთ ნაწილი რუსეთის საკუთრებაში გადადის.



„ამ შეთანხმებაზე მეტი აბსურდი ცხოვრებაში არ მინახავს! არადა, იურისპრუდენციაში ბევრ სხვაზე უკეთ ვერკვევი“ იჯარა და საკუთრება ისე ათქვიფეს რუსმა იურისტებმა ერთმანეთში, ეშმაკიც ვეღარ გაერკვევა, რას გულისხმობდნენ ამ დოკუმენტის შედგენისას. წარმოიდგინეთ, რა დამოკიდებულება აქვთ რუსებს აფხაზეთისადმი, რომ მსგავსი რამ საერთოდ მოუვიდათ თავში!“, – აღშფოთებულია ჩვენი თანამოსაუბრე რუსლანი. მისივე აზრით, რუსეთი იმდენადაა დარწმუნებული აფხაზეთის მიმართ საკუთარ უპირატესობაში, რომ სინდისის ქენჯნის გარეშე გვაიძულებს, ჩვენი სახელმწიფოსთვის საზიანო დოკუმენტებს ვაწეროთ ხელი.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული დაცვის ფედერალური სამსახურის წარმომადგენლები ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის ტერიტორიაზე ომის შემდგომი დროიდან იმყოფებიან, დაახლოებით 1993 წლიდან. ამასთან, ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე განუსაზღვრელი პრივილეგიებით სარგებლობენ – კიდევ უფრო მეტით, ვიდრე უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს წარმომადგენლები. კერძოდ, მათ იცავთ იმუნიტეტი, რომელიც აფხაზეთის კანონებზე მაღლაა დაყენებული. ასე მაგალითად, არსებული ინფორმაციით, დაცვის ფედერალური სამსახურის წარმომადგენლებს შეუძლიათ, რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად შეიტანონ განუსაზღვრელი რაოდენობის იარაღი, აფხაზურ სამსახურებს კი მათი არც შემოწმების უფლება აქვთ, არც ელემენტარულად შეიარაღების რაოდენობისა და სახეობების შესახებ კითხვის დასმის. ასე უპრობლემოდ კვეთენ ისინი რუსეთ-აფხაზეთის საზღვარს. მათთვის „მწვანე დერეფანია“ ორგანიზებული, მაშინ, როდესაც აფხაზეთის მოქალაქეები საათობით დგანან მრავალკილომეტრიან რიგებში.

„ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად უწყის, რამდენი ადამიანი იმყოფება სახელმწიფო აგარაკის ტერიტორიაზე და კონკრეტულად რით არიან ისინი იქ დაკავებულები. რუსეთის ხელისუფლებასთან ხანგრძლივი შეთანხმების გარეშე აფხაზეთის ამ სახელმწიფო აგარაკის ტერიტორიაზე ფეხს ვერც ერთი აფხაზი ჩინოსანი ვერ შედგამს, ყველაზე მაღალი რანგისაც კი!“, – ამბობს წყარო პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ეს განუკითხაობა ბიჭვინთაში სამწუხაროდ, ერთადერთი მაგალითი როდია იმისა, თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ართმევს რუსეთი აფხაზეთს მიწებს. გარკვეული დროის წინ რესპუბლიკაში მორიგი სკანდალი აგორდა, რომელიც მაღალმთიან სოფელ აიბღას უკავშირდებოდა. მიზეზად იქცა ინფორმაცია აფხაზური სოფლის „როსრეესტრში“ რუსეთის ტერიტორიად შეტანის თაობაზე. საჯარო სკანდალის შემდეგ რუსულმა მხარემ პირობა დადო, რომ ამ ჩანაწერს წაშლიდა, თუმცა სიტყვა არ შეუსრულებია. მეტიც, „როსრეესტრის“ ბაზაში ჩაამატეს აფხაზური სოფლის მთელი უძრავი ქონებაც, მიშენებებისა და ბოსლების ჩათვლით. ღიად გაეკეთებინა იგივე ბიჭვინთასთან მიმართებაში, რუსული მხარე ვერ შეძლებდა, ამდენად, გადაწყვიტა, მისი დაცვის ფედერალური სამსახურისთვის 184 ჰა მიწისა და მიმდებარე აკვატორიის გადაცემის საკითხი ჩუმად მოეგვარებინა.

„თუ ტერიტორია რუსეთს უახლოეს მომავალში არ გადაეცემა, წარგვიდგენენ ანგარიშს მოხმარებული ელექტროენერგიისთვის, გველის ასევე კოლაფსი რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე, საინვესტიციო პროგრამის დაფინანსების შეწყვეტა, კვების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის, საწვავისა და ბევრი სხვა რამის მოწოდების შეჩერება. არჩევანი ნათელია, განსაკუთრებით – ახლა, როცა აფხაზეთს ომის დროიდან ყველაზე მძიმე პერიოდი უდგას“, – გაგვიმხილა აფხაზეთის პერსპექტივა წყარომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

როგორც იტყვიან, უკომენტაროდ. ყველას, ვინც აფხაზეთში ანტირუსული განწყობების ზრდას უარყოფს, ვურჩევ, უფრო ხშირად დაინტერესდეს რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებით. აფხაზური საზოგადოება, როგორც იქნა, ხმამაღლა ალაპარაკდა რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის მიწების წართმევაზე. ჯერ – აიბღა, ახლა – ბიჭვინთა. რომელი იქნება შემდეგი – შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ, მაგრამ უდავოა, რომ ეს პროცესი წარმატებით მიდის.

კრისტინა ავიძბა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

გეოგრაფიული აღნიშვნა

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს ასოციაციების „ხეთის მანდარინი“, „მუხურის თაფლი“ მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ხეთის მანდარინი

სპეციფიკაცია

განაცხადის № 3503/7

განაცხადის შეტანის თარიღი: 2020 24 11

გეოგრაფიული აღნიშვნა: ხეთის მანდარინი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია: მანდარინი

განმცხადებლის სახელი და მისამართი: ასოციაცია „ხეთის მანდარინი“ ხობის მუნიციპალიტეტი, ხეთის ადმინისტრაციული ერთეული.

3. სპეციფიკაცია:

3.1. დასახელება: ხეთის მანდარინი

3.2. აღწერა:

გეოგრაფიული აღნიშვნა „ხეთის მანდარინი“ გამოიყენება „უნშიუ“ (C. Unshiu Marc.) ჯიშის, უფრო ზუსტად, მრავალი წლის მანძილზე ადგილობრივი აგროკლიმატური ფაქტორების ზეგავლენით შექმნილ სახესხვაობის ქართული მანდარინისათვის.

სარეალიზაციოდ გატანისას ხეთის მანდარინს უნდა გააჩნდეს შემდეგი მახასიათებლები:

ფიზიკური მახასიათებლები:
ზომა: არანაკლებ 54 მმ;
წონა: არანაკლებ 60 გრ;
კანი: ადვილად მოცილებადი;

სეგმენტები ერთმანეთისაგან ადვილად განცალკევებადი, სეგმენტების რაოდენობა 9-13. პრაქტიკულად უთესლო.

ქიმიური მახასიათებლები:
წვენის შემცველობა: 30-40%;
შაქრის შემცველობა: >8,7 Brix;
მჟავიანობა: 0,9-1%.

ორგანოლეპტიკური მახასიათებლები:
ფორმა: სფერული ან შებრტყელებულ-სფერული;
ფერი: ოქროსფერ-ყვითელი, რომელიც სიმწიფესთან ერთად გადადის ნარინჯისფერში;
გემო: გამახალისებელი მომჟავო-მოტკბო, დაბალანსებული შაქრიანობა მჟავიანობის თანაფარდობითა და მკაფიოდ გამოხატული არომატით.

გარდა ამისა, ხილი უნდა იყოს ჯანსაღი (უნდა გამოირიცხოს ხილი, რომელსაც დაწყებული აქვს ლპობა, მოკიდებული აქვს ობი, ან სხვაგვარად არის დაზიანებული); იყოს სუფთა, თავისუფალი ყოველგვარი უცხო ნივთიერებისაგან; უცხო სუნისა და გემოს გარეშე.

3.3. წარმოების გეოგრაფიული არეალი

წარმოების ტერიტორია მოიცავს ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ხეთას, ლარჩვასა და ოხვამეკარს. სულ მანდარინის პლანტაციის ფართობი 125 ჰექტარია.

3.4. კავშირი გეოგრაფიულ გარემოსთან

ხეთის მანდარინის განსაკუთრებულობა, უნიკალურობა და მაღალი ხარისხი განპირობებულია რიგი ფაქტორებით. ციტრუსოვანთა ბაღები გაშენებულია ურთის მთის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან საშუალოდ 30-80 მეტრ სიმაღლეზე, რომელიც ღიაა შავი ზღვის მხრიდან და არ ხდება ჰაერის ცივი მასების დაგუბება ინვერსიის დროს. ამიტომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სითბო სავეგეტაციო პერიოდში მეტია, ვიდრე საქართველოს ციტრუსოვანთა გავრცელების სხვა ზონებში.

გეოგრაფიული არეალი ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით, უხვი, არაჭარბი ნალექებით (საშუალო წლიური ნალექები წლის განმავლობაში შეადგენს 1700–1800 მმ, ჰაერის ოპტიმალური ფარდობითი ტენიანობა - 74-85%), აქტიურ ტემპერატურათა ჯამი უდრის 3500-5000°C, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს +14.8°C. ყველაზე ცივი თვე იანვარია, რომლის საშუალო ტემპერატურაა +6.7°C.

ზღვის სიახლოვე ძლიერ გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურის დღე-ღამურ ცვლილებაზე (დღიდან ღამისკენ). ფლუქტუაციები განსაკუთრებით მკვეთრია შემოდგომაზე, როდესაც ზღვის ტემპერატურა ხშირად აჭარბებს გარშემო ჰაერის ტემპერატურას. ტემპერატურის ასეთი ფლუქტუაციები უშუალოდ ახდენს ზეგავლენას ხილის ფერზე, ნაყოფის თანაბარ და ადრეულ დამწიფებაზე, აგრეთვე, ხელს უწყობს შაქრიანობა-მჟავიანობის ოპტიმალურ ბალანსს.

გეოგრაფიული არეალის ნიადაგები, ძირითადად, ნეშომპალა-კარბონატულია. ამ ნიადაგებს ახასიათებს მცირე სისქე, ძლიერი ხირხატიანობა და ჰუმუსის შემცველობა, რომელიც ხშირად 9-10% აღწევს. ნახშირმჟავა კირის შემცველობის გამო, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების რეაქცია ზედა ფენაში ოდნავ ტუტეა და ზოგჯერ სუსტად მჟავეც.

მექანიკური შემადგენლობის მხრივ ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების უმეტესობა თიხებს უახლოვდება, მაგრამ დიდი ხირხატიანობა ხელს უწყობს მათ კარგ წყალგამტარიანობას. ასეთი ნიადაგები დიდ გავლენას ახდენს ნაყოფის ქიმიურ შემადგენლობაზე და მაღალ ხარისხზე.

მანდარინი მიეკუთვნება ციტრუსოვანთა გვარის მარადმწვანე მცენარეთა ჯგუფს, ტეგანისებრთა ოჯახს, რომლის ბოტანიკურ სამშობლოდ სამხრეთ ჩინეთი და სამხრეთ ინდოჩინეთი ითვლება. დასავლეთ საქართველოში პირველად 1885 წელს იტალიური მანდარინი (Citrus deliciosa) შემოიტანეს, ხოლო შემდეგ, მოგვიანებით, 1896 წელს შემოიტანეს იაპონური მანდარინი უნშიუ (C. Unshiu Marc), რომლის სამრეწველო მნიშვნელობით გაშენება დაიწყო 1901 წლიდან. ხობის რაიონის ტერიტორიაზე მანდარინის გავრცელება დაიწყო 1930-იანი წლებიდან.

იაპონიაში „Unshiu“ მანდარინების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ საქართველოს განსხვავებული აგროკლიმატური ფაქტორების ხანგრძლივმა ზეგავლენამ და „Unshiu“ მანდარინის მემკვიდრულმა თვისებებმა მანდარინის თავისებური ადგილობრივი ფორმები შექმნა. შედეგად ქართული მანდარინებისათვის ძველი სახელწოდება „იაპონური მანდარინი“ აღარ გამოიყენება.

ხეხილის მოვლის დიდი ხნის ტრადიციამ, რომელიც თითქმის ერთ საუკუნეს ითვლის, და ახალი ნოუ-ჰაუსა და ტექნოლოგიების გამოყენებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ მანდარინის ნარგავების ფართობების გავრცელებაში, არამედ, ასევე, მისი ხარისხის გაუმჯობესებაში.

სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიებში უამრავი ცვლილებების მიუხედავად, გეოგრაფიული არეალისა და გაშენების ტრადიციული ყველა ძირითადი ელემენტი უცვლელი დარჩა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება პროცესების ტექნიკურ დამხმარე საშუალებებს (გასხვლა, ვარჯის ფორმირება, ველური ნაზარდების მოცილება, ახალგაზრდა ნარგავისაგან ნაყოფების მოცილება).

3.5. პროდუქციის წარმოება

ხეთის მანდარინი ამ გეოგრაფიულ არეში იკრიფება 10-15 დღით ადრე ოქტომბრის დასრულებამდე. მანდარინის კრეფა იწყება მაშინ, როცა კანის 2/3 გაყვითლდება. მანდარინის კრეფა ხდება ხელით, სპეციალური მაკრატლით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს აქაურ რთულ რელიეფურ პირობებში ნაყოფის დაუზიანებლად მოკრეფას და მისი მაღალი ხარისხის შენარჩუნებას. განოყიერების მიზნით, მანდარინის ნიადაგში გაზაფხულზე და შემოდგომაზე შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები. გაზაფხულზე შეაქვთ აზოტიანი სასუქების 60% ყვავილობამდე, 40% – ყვავილობის შემდეგ.

მინერალური და ორგანული სასუქებით ხეთის მანდარინის გამოკვების სქემა (ერთ ძირზე)

სასუქის სახეობა	საშუალო რაოდენობა ხნოვანების მიხედვით		
	1-5 წლამდე	6-10 წლამდე	10 წლის ზემოთ
ორგანული	25 კგ	40 კგ	60 კგ
აზოტი	30-80 გრ	100-150 გრ	200-250 გრ
ფოსფორი	150 გრ	300 გრ	
კალიუმი	50 გრ	100-120 გრ	
მაკროელემენტები	30-50 გრ	80-150 გრ	200-250 გრ

მაქსიმალური პროდუქტიულობის, ზრდისა და მსხმოიარობის უზრუნველსაყოფად, მანდარინის მცენარეს ადრე გაზაფხულზე უტარდება სხვლა, ზედმეტი ახალგაზრდა ყლორტების გამეჩხერება, მოზარდი წვერების მოცილება-პინცირება, წაჩქმეტა, ძველი ტოტების გასხვლა ან, როგორც მას უწოდებენ, გასხვლა შენაცვლებაზე, ყვავილების ნორმირება, რაც, ასევე, ხელით სრულდება, და სასუქებით გამოკვება მოცემული სქემის მიხედვით.

გეოგრაფიულ არეში წლის განმავლობაში მანდარინის ზღვრული საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 30 ტონას.

3.6. პროდუქციის დაფასოება

ხეთის მანდარინის ნაყოფს აყალიბებენ დიამეტრის მიხედვით 4 ჯგუფად:
I ჯგუფს ეკუთვნის 70 მმ და მეტი;
II ჯგუფს ეკუთვნის 70-65 მმ;
III ჯგუფს ეკუთვნის 65-60 მმ;
IV ჯგუფს ეკუთვნის 60-54 მმ.

ნაყოფის შემფუთავ პავილიონებში ციტრუსოვანთა ყველა ნაყოფი უნდა დახარისხდეს. ნაყოფის დაყალიბება წარმოებს სპეციალურ დამყალიბებელ მანქანებზე ნაყოფის დიამეტრის მიხედვით. ნაყოფს აწყობენ უნივერსალურ ყუთებში, რომელსაც აქვს შემდეგი ზომები: სიგანე-36 სმ, სიმაღლე 13 სმ და სიგრძე 58 სმ.

ყუთში იწყობა ერთნაირი ყალიბებისა (I-დან IV ჯგუფის) და სასაქონლო ხარისხის ნაყოფი. ინახება მხოლოდ მშრალი ნაყოფი. შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა უნდა იყოს 3-5°C, ოპტიმალური ტენიანობა 80-85%. ნაყოფი ინახება იატაკიდან 20-25სმ სიმაღლეზე. უნდა ხდებოდეს საცავის ხშირი განიავება ჰაერის ნაკადით, ნაყოფის დანესტიანების თავიდან ასაცილებლად. ჩაწყობის შემდეგ შემფუთავი ყუთის ერთ გვერდზე აღნიშნავს ნაყოფის რაოდენობას, ხარისხს, შეფუთვის დროს და საკონტროლო ნომერს, მწარმოებლის მითითებით. ამის შემდეგ ყუთები იგზავნება საცავში ან სარეალიზაციოდ.

ყველაზე ნაკლები დანაკარგები აქვს საცავში ნაყოფის ქაღალდში შეხვევისას და მისი შენახვა შესაძლებელია მოკრეფიდან 3 თვის განმავლობაში, ხოლო ქაღალდში შეხვევის გარეშე მანდარინი ინახება 4 კვირამდე.

3.7. პროდუქციის ეტიკეტირება

სარეალიზაციო ან შენახვისათვის განკუთვნილ ტარაზე მოთავსებული უნდა იყოს გეოგრაფიული აღნიშვნის ლოგო და სიტყვები: ხეთის მანდარინი
ლათინური შრიფტით: **KHETA TANGERINE**
რუსული შრიფტით: ХЕТИНСКИЙ МАНДАРИН

3.8. მაკონტროლებელი ორგანო:

პროდუქტის „ხეთის მანდარინი“ სპეციფიკაციასთან შესაბამისობის ოფიციალურ კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კონკრეტულად სურსათის უვნებლობის სააგენტო.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ი. ლეკვეიშვილი, ი. ბერაია, „სუბტროპიკული კულტურები“;
2. ი. ლეკვეიშვილი, „ციტრუსოვანთა წარმოების მეცნიერული საფუძვლები“;
3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, „სუბტროპიკული კულტურები“;
4. ვ. თოფურიძე, მ. ტაბლიაშვილი, ვ. შანიძე, „ციტრუსი“;
5. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი. მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქსახმიწპროექტი“. საქართველოს სსრ ხობის რაიონის მიწათმოწყობის სქემა;
6. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ციტრუსის აგროტექნოლოგია“; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო „სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა მანდარინის წარმოებაში“;

7. დ. გაბუნია, მ. კვიმსაძე, ე. გაბუნია „გეოგრაფიული აღნიშვნები ხარისხი და განვითარება“.



მუხურის თაფლი

სპეციფიკაცია

განაცხადის № 3504/7

განაცხადის შეტანის თარიღი: 2021 12 03

გეოგრაფიული აღნიშვნა: მუხურის თაფლი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია: თაფლი

განმცხადებლის სახელი და მისამართი: ასოციაცია „მუხურის თაფლი“ თამარ მეფის ქუჩა №11, ქ. ჩხოროწყუ, საქართველო.

1. დასახელება: მუხურის თაფლი

2. პროდუქტის აღწერილობა

მუხურის თაფლი არის კვების პროდუქტი, რომელსაც მეთაფლია ფუტკრები (Apis mellifera caucasica-Georgia) ამზადებენ ყვავილის ნექტრიდან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის (ხობისწყლის) ხეობაში არსებული მცენარეების ყვავილებიდან. მუხურის თაფლი, ძირითადად, გროვდება მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტოს თვეებში, როდესაც ყვავილობს ძირითადი თაფლოვანი მცენარეები.

ამ პერიოდში შესაძლებელია ხეობაში მიღებული იქნეს თაფლი ორჯერ, რის გამოც შეიძლება თაფლი იყოს სხვადასხვა შეფერილობის შეგროვების დროის მიხედვით ღია, თითქმის უფეროდან, შემდგომში იშვიათად მუქ ქარვისფერამდე.

კონსისტენციის მიხედვით მუხურის თაფლი არის თხევადი, დენადი.

მუხურის თაფლი ხასიათდება საშუალოდ გამოხატული ზომიერი არომატით, ზომიერად ტკბილი, სასიამოვნო და განსაკუთრებული დამახასიათებელი გემოთი.

3. გეოგრაფიული არეალი

მუხურის თაფლის წარმოშობის არეალს წარმოადგენს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სადაც გავრცელებულია მუხურის (ხობისწყლის) ხეობაში არსებული თაფლოვანი მცენარეები. ის მოიცავს შემდეგი სოფლების ტერიტორიებს: მუხური, თაია, ნაფიჩხოვო, ზუმი, ხაბუმე, პირველი ჭოდა, დაბა ჩხოროწყუ, ნაკიანი, ახუთი, ლესიჭინე, კირცხი, ჭოდა, ლეწურწუმე. მუხურის თაფლის არეალის საერთო ფართი შეადგენს 619.4კმ²-ს, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება მარტვილის, დასავლეთით – წალენჯიხის, ჩრდილოეთით – მესტიის, სამხრეთით სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტები.

4. კავშირი გეოგრაფიულ ადგილთან

ჩხოროწყუში მეფუტკრეობას ხანგრძლივი ისტორია და ტრადიციები გააჩნია. ის, ერთის მხრივ, დაკავშირებულია ამ რეგიონში მრავალფეროვანი თაფლოვანი მცენარეების არსებობით, ხოლო, მეორე მხრივ, აქაური თაფლის მწარმოებელი ფუტკრის გამორჩეული მახასიათებლებით.

თავის მხრივ, თაფლოვანი მცენარეების მრავალფეროვნება განპირობებულია აქაური რელიეფის, ადგილის სიმაღლის, ჰავის და ნიადაგის განსხვავებულობით.

კერძოდ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია ნოტიო სუბტროპიკული ჰავა. ბარში იცის რბილი ზამთარი და ხანგრძლივი ცხელი ზაფხული. მთისწინეთი ხასიათდება – ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. ბარში იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3,5°C, საშუალოდ მთიან ზონაში -4°C. შესაბამისად, ივლისის საშუალო ტემპერატურა შეადგენს 23°C და 12°C. ბარში ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 1400-1600 მმ უდრის. იგი სიმაღლის მიხედვით მატულობს და 3017 მმ-ს აღწევს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გავრცელებული თაფლოვანი მცენარეებია:
1. აკაცია – Acacia;
2. ბზა – Buxus colcica;
3. წაბლი – Castanea;
4. ცაცხვი – Tilia;
5. კოლხური ჯონჯოლი – Staphylea colchica;
6. მოცვი – Vaccinium myrtillus;
7. მაყვალი – Rubus;
8. ნეკერჩხალი – Acer;
9. ველური ხურმა – Diospyros lotus

ტყის საფარი ბალახები:
1. ზღვის შროშანა – Pancratium maritimum L;
2. გადელია – Gadellia;
3. ვარსკვლავა – Astrantia maxuma Pall;
4. კულმუხი – Inula helenium L;
5. ფუტკარა – Digitalis;
6. ხეჭრელი – Rhamnus cordata.

გარდა ამისა, ფუტკრის საკვებ ბაზას შეადგენს, აგრეთვე, ბარში მოყვავილე ისეთი ხე მცენარეები, როგორიცაა: ტყემალი, ატამი, ვაშლი, მსხალი, ვაზი, ციტრუსი, კოპიტი და სხვა. ასევე, მინდვრის თაფლოვანი მცენარეები: ნარი, თეთრი და წითელი სამყურა, თეთრი ძიძო, თავკომბალა, ტყის პიტნა და სხვა.

სწორედ აქ არსებული მრავალფეროვანი ფლორა ქმნის იმ უნიკალურ გარემოს თაფლოვანი მცენარეებისა, რისგანაც მიიღება გამორჩეული გემოვნური თვისებებისა და არომატის მქონე მუხურის თაფლი.

მე-19 საუკუნის ბოლოს ამერიკელი მკვლევარის ბენტონის მიერ დასავლეთ საქართველოში გამოვლენილ იქნა ფუტკარი, რომელსაც სხვა ჯიშებთან შედარებით გრძელი ხორთუმი აქვს.

ამ ფაქტმა საფუძველი დაუდო ქართული ფუტკრის (Apis mellifera caucasica - Georgia) მეცნიერულ შესწავლას. ჩატარებული კვლევების თვალსაზრისით, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით იმდროინდელ გამოჩენილ მეცნიერებს ა. წულაძეს, ი. ქუთათელაძეს, ნ. შავროვს, ა. ტიხომიროვს, კ. გორბაჩოვს და სხვებს. ნ. შავროვის მიერ (1893 წ.) პირველად იქნა გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ მეფუტკრეობის უძველეს კერად კავკასია უნდა იქნეს მიჩნეული.

კვლევების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ქართული ფუტკარი ხასიათდება ბიომრავალფეროვნებით და ჯიშის ფარგლებში რამდენიმე პოპულაციას მოიცავს, რომელთაგან ბიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანი მეგრული, გურული და ქართლური პოპულაციებია.

მუხურის თაფლის მწარმოებელი მეგრული პოპულაციისთვის დამახასიათებელია რუხი ფერი, ყველაზე გრძელი ხორთუმი (7,15-7,25 მმ), ფეხებისა და ფრთების მეტი სიგრძე, თვინიერება, სუსტად გამოხატული ბუნებრივი ნაყრიანობა, ღალიანობის უფრო ეფექტურად სარგებლობა, ბუდის აქტიურად დაცვა, ღალის წყაროს სხვაზე მალე პოვნა არახელსაყრელ პირობებშიც კი, ღალაზე მუშაობის უნარი, ზამთარში თაფლის მარაგის ეკონომიურად ხარჯვა, ბუდეში სისუფთავის დაცვა, წითელი სამყურას დამტვერვის შესაძლებლობა.

იმის გამო, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობა დიდი ხანია მისდევდა და მისდევს მეფუტკრეობას, სწორედ მუხურში ფუნქციონირებს ერთ-ერთი ძლიერი საჯიშე მეურნეობა, საიდანაც 20 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ხდება მეგრული პოპულაციის (მუხურის) განაყოფიერებული დედა ფუტკრებისა და ნაყრების წარმოება და გავრცელება არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

უნდა აღინიშნოს, რომ აქაური ფუტკრის ამ მრავალმა სასარგებლო უპირატესობამ, სხვა ჯიშის ფუტკრებთან შედარებით, ხელი შეუწყო მის აღიარებასა და მაღალი რეპუტაციის მოპოვებას მსოფლიო მასშტაბით. მუხურიდან წარდგენილმა ფუტკარმა სამჯერ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო გამოფენაზე და სამივეჯერ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა - დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

1961 წელს ქ. ერფუტში, მებაღეობის საერთაშორისო გამოფენაზე ჩხოროწყუს (მუხურის) საჯიშე მეურნეობის ფუტკრის ორმა ოჯახმა გამოფენის პერიოდში საკმაოდ არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში 97,3 კგ. თაფლი შეაგროვა და ოქროს მედალი დაიმსახურა.

1965 წლის აგვისტოში ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) გამართულ მეფუტკრეობის XX საერთაშორისო კონგრესზე მუხურის ფუტკარი, თავისი მრავალი სამეურნეო-სასარგებლო ნიშან-თვისებების გამო, მეორედ დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

1971 წელს მოსკოვში გამართულ XXIII საერთაშორისო კონგრესზე მოწყობილ გამოფენაზე მუხურის ფუტკარმა მოიპოვა მესამე ოქროს მედალი.

5. თაფლის წარმოება

მუხურის თაფლის მისაღებად სკები განთავსებულია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის არეალში, ძირითადად, 300 დან 2200 მეტრის სიმაღლეზე, ფუტკრის ინფექციური დაავადებების მიმართ კეთილსაიმედო ადგილებში.

იხ. 8 გვ.

დასაშვებია საფუტკრის მთაბარობაც, ოღონდ მხოლოდ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ისე, რომ არ მოხდეს სხვა რეგიონში მიღებული თაფლის შერევა მუხურის თაფლთან. მუხურის თაფლის წარმოებისას მოითხოვება შემდეგი პირობების დაცვა:

1) ყველა სკაში სკის ბუდის განყოფილებასა და სასაქონლო თაფლის კორპუსს შორის უნდა განთავსდეს განიმანის ბადე;

2) სასაქონლო კორპუსში არსებული ყველა თაფლიანი ჩარჩოს ნაცვლად განთავსდეს მშრალი (უთაფლო) ჩარჩოები და სასაქონლო თაფლი უნდა დაიწუროს მხოლოდ ამ ფიჭებიდან;

3) დაუშვებელია მეფუტკრის მიერ რაიმე მიზნით სკის ბუდის განყოფილებიდან თაფლიანი ჩარჩოების გადატანა სასაქონლო კორპუსში;

4) სკებიდან დასაწურად განკუთვნილი ფიჭების ამოღება და საამქრომდე ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ისეთნაირად, რომ არ დაბინძურდეს ფიჭები;

5) მუხურის თაფლის მიღება შესაძლებელია, ასევე, ჯარებიდან (ჯარაგუნა-მეგრ.);

6) საამქრო, სადაც თაფლი უნდა დაიწუროს, აღჭურვილი უნდა იყოს და აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. საწარმოში მიღებული თაფლიანი გადაბეჭდილი ფიჭები განიბეჭდება, თაფლი დაიწურება, გაიფილტრება, ჰომოგენიზდება და დასაწყობდება სპეციალურ ჭურჭელში, რომელიც განკუთვნილია კვების პროდუქტების შესანახად;

7) მუხურის თაფლის დაფასოება ხდება მხოლოდ მინის ქილებში. მიღებული თაფლის ყოველი პარტია უნდა აკმაყოფილებდეს მისთვის დადგენილი სპეციფიკაციის ყველა მოთხოვნას.

6. სპეციფიკაციასთან შესაბამისობა

ბიზნესოპერატორი, რომელიც დაინტერესებულია გამოიყენოს გეოგრაფიული აღნიშვნა „მუხურის თაფლი“, ვალდებულია:

1. თაფლი აწარმოოს მე-3 მუხლით განსაზღვრული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში;

2. თაფლის დაწურვამდე უნდა შეავსოს დეკლარაცია ადგილზე არსებული სკების ოდენობის შესახებ, მონაცემებით თითოეულის განთავსების დროის, რაოდენობის და ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ. აგრეთვე, მოპოვებული თაფლის ოდენობის, მათ შორის, რომელიც შეიძლება კვალიფიცირებული იქნეს, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა „მუხურის თაფლი“;

3. თაფლის მიღება განახორციელოს ჩარჩოების ციბრუტში (მექანიკური ან ელექტრონული) გამოწურვის წესით;

4. ყოველწლიურად შეადგინოს დეკლარაცია თაფლის საკუთარი მარაგების შესახებ. სარეგისტრაციო ჟურნალში უნდა იქნეს მოყვანილი თაფლის წარმოშობის, მისი რაოდენობის, მიწოდების და სავაჭრო ქსელში განთავსების შესახებ;

5. უზრუნველყოს ასოციაციის „მუხურის თაფლი“ წარმომადგენლის მიყვანა სკების განთავსების ადგილას. აჩვენოს საწარმო და მისი აღჭურვილობა. წარუდგინოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ჟურნალის ჩანაწერები. წარმოშობის დასადასტურებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროდუქტის ანალიზის და ორგანოლეპტიკური ტესტირების შედეგებიც.

მას შემდეგ, რაც დადასტურდება მუხურის თაფლის წარმომავლობა და შესაბამისობა, გაიცემა შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი გეოგრაფიული აღნიშვნის „მუხურის თაფლის“ გამოყენების თაობაზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული პარტია და თაფლის ოდენობა.

7. ეტიკეტირება

მინაში დაფასოებული თაფლის ეტიკეტირება ხდება „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა“ და „ტექნიკური რეგლამენტი სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ მოთხოვნათა სრული დაცვით. ეტიკეტზე უნდა მიეთითოს გეოგრაფიული აღნიშვნა „მუხურის თაფლი“ და განთავსდეს გეოგრაფიული აღნიშვნის ლოგო. ლოგო უნდა განთავსდეს, აგრეთვე, ქილის სახურავზეც.

ლათინური შრიფტით: **MUKHURI HONEY**
რუსული შრიფტით: МУХУРСКИЙ МЕД

8. კონტროლი

მუხურის თაფლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის შიდა კონტროლს ახორციელებს ასოციაცია „მუხურის თაფლი“, ხოლო გარე კონტროლს – სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო.



საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №01-120/2021 14 ივლისი, 2021 წელი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „რენტა +“-ის და შპს „PP“-ის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაეგზავნათ მოპასუხეებს, მაგრამ ჩაბარების არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ ჩაბარდათ მისამართების შეცვლის გამო.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს სარჩელში მითითებულ და არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაგზავნილი უწყება ვერ ბარდებათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მათ საქმის განხილვის თარიღის თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. მოპასუხეებს შპს „რენტა +“-ს და შპს „PP“-ს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი შპს „რენტა +“-ის და შპს „PP“-ის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

2. მოპასუხეებს ეცნობოთ, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2021 წლის 28 ივლისს, 16:30 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 30, სართული 2, ბინა 5.

3. მოპასუხეებს განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

4. მოპასუხეებს ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს არბიტრაჟის თავმჯდომარე მამუკა ღვინიაშვილი, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს საქმის განმხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

5. მოპასუხეებს განემარტოთ, რომ უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

6. მოპასუხეებს განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0

7. დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

8. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

...გამოლეგული ფანჯრებიდან გამაოგნებელი და მომნუსხველი, უკვე საქვეყნოდ აღიარებული მელოდია ისმის. მის მოზღვავებულ ჰანგებს სრულ მარწუხებში ჰყავს მოქცეული მსმენელთა გრძნობები, განცდები, სულიერი სამყარო. მასში თითქოს ქართული მიწის, გენის და ნიჭის ამოძახილი გაისმის. ისმენ და სურვილი გებადება, რათა არ დასრულდეს ეს მომაჯადოებელი მუსიკა, რომ კიდევ და კიდევ გაუთავებლად ჟღერდეს ეს ჰანგები. ასეთი სურვილი ებადება ადამიანს, როდესაც გენიალური რევაზ ლაღიძის უკვდავ „სიმღერას თბილისზე“ ისმენს. მართლაც და, ამ მელოდიაში დევს ისეთი მუსიკალური „მუღამი“, რომელიც აბსოლუტურად ყველასთვის გასაგები და ახლობელია...

რევაზ ლაღიძე — მზიანი მუსიკის შემოქმედი

ბუნების ჰანგებზე მონადირე...

რევაზ ლაღიძე 1921 წლის 10 ივლისს დაიბადა ბაღდათის რაიონის სოფელ ბაღდათში ილია ლაღიძისა და ლუბა ჯაფარიძის ოჯახში. დედამისი შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე და კარგადაც მღეროდა, მამამისი, თბილისში, რკინიგზის სამმართველოს მთავარი ბუღალტერი გახლდათ. მუსიკის სიყვარული ლაღიძეების ოჯახს ტრადიციულად მოსდგამდა. რეზოს ბიძა, მამიდის მეუღლე ვასილ გოგაძე არაჩვეულებრივად ფლობდა ინსტრუმენტებს. სწორედ მან აჩუქა თავისი ვიოლინო მომავალ კომპოზიტორს, შთამბეჭდავი მუსიკალური ბიძგი რომ მისცა რეზო ლაღიძის ნიჭის გამოვლინებას, ეს სოფელ ოფჩაში მოხდა. სკოლის ეზოში, სადაც ის არდადეგების დროს თავის თანატოლებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა, რადიოდან შემოესმა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ ჰანგები და უმალ სმენად გადაიქცა, ფეხბურთი მიატოვა და „დაისის“ შესავალი ბოლომდე მოისმინა. გარინდებული ადგილიდან ვეღარ იძროდა, ვიდრე თანატოლებმა არ გამოაფხიზლეს... მუსიკის სამყაროში ჩაძირული. ასე შედგა მისი პირველი შეხვედრა მუსიკასთან. ამის შემდეგ მთელი ცხოვრება ფალიაშვილი რეზო ლაღიძის კერპი და მისაბაძი მაგალითი გახდა.

7 წლისა თბილისში, საშუალო სკოლის პარალელურად, მუსიკალურ სკოლაში, ვიოლინოზე იწყებს სწავლას. მოზარდი, რომელიც ბურთით იყო გატაცებული, უცებ სხვა გარემოში აღმოჩნდა, რამდენჯერმე გადაწყვიტა, მუსიკისთვის თავი დაენებებინა, რცხვენოდა ვიოლინოთი სიარული, რადგან იმ დროს მის ასაკში ეს ბიჭებს ეთაკილებოდათ, თუმცა, მუსიკისადმი განსაკუთრებულმა ლტოლვამ თავისი გაიტანა. ერთ დღეს სკოლაში თვითშემოქმედებითი კონცერტი მოეწყო. სწორედ აქ გამოადგა მას სავიოლინო გამოცდილება. სცენაზე მოხეტიალე მუსიკოსის როლი განასახიერა, რამაც დიდი წარმატება მოუტანა.

რეზო თბილისის მე-4 მუსიკალურ სასწავლებელში აგრძელებს სწავლას (ვიოლინოს განხრით). სულ მალე ის მოსწავლეთა სიმებიანი კვარტეტისთვის სამ მინიატიურას: „მგზავრულს“, „იავნანას“, „აღმოსავლურ ცეკვას“ თხზავს. კვარტეტში თვითონაც მონაწილეობს. იმ დროს სასწავლებელს საჭირო რჩევებს აძლევდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი. არაყიშვილმა მოისმინა რა ლაღიძის მუსიკალური პიესები, დაჟინებით სთხოვა მას, სწავლა კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტზე გაეგრძელებინა. 1941 წელს რეზო ლაღიძემ სასწავლებელი დაამთავრა და ჩაირიცხა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის კლასში. რევაზი დიდი მონდომებით შეუდგა მეცადინეობას, პარალელურად კი, ვინაიდან ომის წლები და გაჭირვება იყო, ორ ადგილას მუშაობდა, 1941-დან 1949 წლამდე ვიოლინოზე უკრავდა სახელმწიფო ორკესტრსა და საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიურ ორკესტრში. მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, მომავალი კომპოზიტორი, ჩაიკოვსკის სახელობის სტიპენდიასაც იღებდა. სიმფონიურ ორკესტრში მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი მის პროფესიულ ზრდას, სწრაფად დაეუფლა პარტიტურის კითხვას, საორკესტრო ხელოვნებას.

კონსერვატორიაში შესვლისთანავე იგი თხზავს ორ მუსიკალურ ნაწარმოებს: საფორტეპიანო და სიმებიანი კვარტეტისთვის — „ორი სიმღერის“ ვარიაციებს. 1948 წელს ამთავრებს კონსერვატორიას, საკომპოზიტორო განხრით. მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო — სიმფონიური პოემა „სამშობლოს“, რომელმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ეს ნაწარმოები დიდი წარმატებით შესრულდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ქართული მუსიკის დეკადაზე. 1949 წლიდან ლაღიძე უკვე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრია. 1951 წელს კონსერვატორიის ასპირანტურასაც ამთავრებს.

თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულმა კომპოზიტორმა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სიმღერა იცოდა ზეპირად. სწორედ ხალხური ჰანგების გამოყენებით შექმნა სიმფონიური სურათი „საჭიდაო“. მინიატურულ კომპოზიციათა შორის ამ ნაწარმოებმა საოცარი აღიარება და განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. იგი შევიდა 1958 წელს მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის საკავშირო დეკადის საკონცერტო პროგრამაში.

ლაღიძის ნიჭიერება და უნარ-ჩვევები დღითი დღე იკრებდა ძალას და იქმნებოდა ერთმანეთზე უკეთესი მარგალიტები, როგორებიცაა მუსიკალური კომედიები — „მეგობრები“, „კომბლე“; რომოდენიმე საგუნდო სიმღერა - კანტატა — „სიმღერა სამშობლოზე“, „ბალადა ვაზზე“, „ოდა მესხეთზე“ და „მოხეტური ბალადა“; საფორტეპიანო - „ტოკატა“; პიესები ჩელოსთვის — „პოემა“ და „ელეგია“; ერთნაწილიანი კანტატა შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის — „გელის ვარძია“; სიმღერები — „განთიადი“, „ჰიმნი დედაენას“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „აყვავდა ნუში“, „ტყე შეუნახეთ შვილებსა“, „წუთისოფელი“, „ჰიმნი ქუთაისს“ და უამრავი სხვა.

თქვენს მონა-მორჩილს, ამ სტრიქონების ავტორს, გრამფირფიტაზე ჩაწერილი აქვს კომპოზიტორის ორი ნაწარმოები — „სიმღერა“ და „მუხამბაზი თბილისს“.

ლაღიძის მუსიკალური მემკვიდრეობის სრულიად უნიკალური მოვლენა მისი უკვდავი სიმღერები გახლავთ, რომლის უმდიდრესი მელოდიური სამყარო მარადიული ფასეულობების საგანძურშია შესული. მართლაც, რომ მათში დევს და ბორგავს სული ქართული, სიტყვა ქართული, მისი გაუხუნარი ეშხი და პეწი. იგი ძირითადად პეტრე გრუზინსკის სიტყვებზე ქმნიდა სიმღერებს.

რამდენიმე მუსიკალურ ჟანრში შემოქმედებითი გამოცდილებით გამდიდრებულმა კომპოზიტორმა თავისი საქმიანობა სერიოზულ მუსიკას, ოპერა „ლელას“ მიუძღვნა, რომელიც მისი ქალიშვილის სახელს ატარებს. „ლელაში“ თვალნათლივ გამოჩნდა ლაღიძის ნიჭის სიდიადე, მისი გულითადი მელოდიურობა. იგი თავისი ჟღერადობით, დრამატიზმით და ინტონაციით ქართული საოპერო მუსიკის უდავო მონაპოვარია.

რევაზ ლაღიძის მდიდარი მუსიკა ჟღერს მრავალ კინოფილმში. 1960-62 წლებში იგი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ქრონიკულ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების მუსიკალური რედაქტორიც იყო. ქართული ფილმების წარმატების ერთ-ერთი მიზეზი სწორედაც რომ მისი დიდებული მუსიკაა, რომელთაც დღესაც სიამოვნებით ასრულებენ ქართველი თუ უცხოელი შემსრულებლები. განსაკუთრებით გამორჩევის ღირსია კანოფილმები: „საბუდარელი ჭაბუკი“, „ნინო“, „ხევისბერი გოჩა“, „კეთილი ადამიანები“, „ხევსურული ბალადა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „შეწყვეტილი სიმღერა“, „წუთისოფელი“... სულ 30-ზე მეტი ფილმი, ქმნიდა მუსიკას დრამატული სპექტაკლებისთვის, გაფორმებული აქვს 40-ზე მეტი სპექტაკლი.

კომპოზიტორი წლების განმავლობაში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1962 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მუსიკის კათედრას პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, იყო ამ ინსტიტუტის პროფესორი. იგი შემოქმედებითად თანამშრომლობდა სახელმწიფო კონსერვატორიასთან.

საუბარი ამ გასაოცარ ხელოვანზე სრულყოფილი ვერ იქნება, თუ არ ვისაუბრებთ მის ადამიანურ, კაცურკაცობით გაჯერებულ და გაჟღენთილ თვისებებზე. ერთი რამ აშკარა და ცხადია, მისი ხასიათი სრულად ასახავდა მისსავე შექმნილ გულუხვ და მდიდარ მუსიკას. იგი არა მარტო შემოქმედებით, მთელი თავისი არსებით იყო ჯანსაღი ცხოვრების მოყვარული და პროპაგანდისტი. მისი გატაცება ნადირობით, ეს იყო ბუნებასთან დიდი სიახლოვის გულწრფელი სურვილი და შინაგანი მოთხოვნილება. გაშლილი ბადით მშობლიური მდინარეებიდან თევზთან ერთად თითქოს, წყლის იდუმალი ხმები ამოჰქონდა. ლაღიძის რომანტიკულ არსებაში ბუნება მღეროდა და ისიც ბუნების კილოზე ქმნიდა სიმღერებს. ნადირობისას იგი დროს უფრო კლავდა, ვიდრე ფრინველს თუ ნადირს. მონადირეობა საბაბი იყო იმისა, რომ ფეხით შემოევლო სათაყვანებელი საქართველოს მიწა-წყალი, დამტკბარიყო მშობლიური სანახების სიდიადითა და ბარაქით. სამშობლოს მშვენიერებით აღფრთოვანებულ შემოქმედს უზომოდ უყვარდა მეგობრებთან ერთად მოლხენა, ქეიფი, ქართული ტრადიციული სუფრა, რადგან თვლიდა, რომ ზოგჯერ ბრწყინვალე ნაწარმოები სწორედ ამ თავშეყრის დროს იბადებოდა.

საოცრად უყვარდა, ყოველთვის მის გვერდში მდგომი, თავისი სამაგალითო ოჯახი. ბედნიერი იყო მათთან თანაცხოვრებით. **„მამაჩემის შვილობა, ჩემთვის ბედნიერების დიდი განცდაა. ყოველთვის თან მდევს სიამაყე, რომ მე არა მარტო კარგი კომპოზიტორის, არამედ კარგი კაცის შვილი ვარ. სადაც კი მოვხვდები, ყველგან რევაზ ლაღიძის კაიკაცობაზე იწყებენ საუბარს. ამაზე მეტი რა უნდა დაგიტოვოს მამამ...“** — ამბობს კომპოზიტორის ქალიშვილი ლელა. ძნელია, არ დაეთანხმო ლელა ლაღიძის შეფასებას, ვინაიდან მამის უნიკალური შემოქმედება და მისაბაძი ადამიანური თვისებები არა მარტო შვილის, არამედ სრულიად საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, იგი ნაადრევად წავიდა ჩვენგან, 1981 წელს, 60 წლის ასაკში ...

ეს გენიალური პიროვნება, განვლილი 40 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის აღარ არის, კი არ გვშორდება, არამედ უფრო და უფრო გვიახლოვდება თავისი დიდებული, ღრმად ეროვნული შემოქმედებით. ზოგჯერ ასეთი მოსაზრება გაისმის, რომ კომპოზიტორმა ბოლომდე ვერ მოახერხა თავისი შესაძლებლობების განხორციელება, რომ მას სიცოცხლეში ბევრის გაკეთება შეეძლო და ასე შემდეგ. ამის საპასუხოდ, ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ რეზო ლაღიძე ისეთი რომ არ ყოფილიყო, როგორიც იყო, მაშინ მისი მუსიკაც არ იქნებოდა ისეთი, როგორიც არის, რომელიც გვაოცებს და განუზომელ სიამოვნებას გვანიჭებს.

ლაღიძეს ღმერთმა არგუნა, სიცოცხლეშივე მოსწრებოდა დიდ აღიარებას და საერთო სახალხო სიყვარულს არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ უცხოეთშიც. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, შოთა რუსთაველისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიები.

„...დაბეჯითებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი საამაყო აღზრდილის, რევაზ ლაღიძის შემოქმედება მარადიულია“, — წერდა **ანდრია ბალანჩივაძე.**

„მის ჰანგზე ვიზრდებოდით, ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ბატონი რეზოს თავმდაბლობა. არ მახსოვს, ამ დიდ ხელოვანს საკუთარ თავზე რამე ეთქვას, ვინმეს ნაწარმოები დაეწუნებინოს. სულ გვინდოდა, მისი კაცობისთვის მიგვებაძა. იქნებ ამიტომაც გვდევს მისი ჰანგი მუდამ. დიახ, ბატონი რეზოსგან ღვთიური მელოდია და სითბო დარჩა, რომელიც ამ ქვეყნად მყოფთ სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს“, — ამბობს **თემურ ჩხეიძე.**

„რაც დრო გადის, უფრო მეტად ვგრძნობ, რამოდენა შემოქმედთან მიხდებოდა თანამშრომლობა. ღმერთმა მარგუნა ბედნიერება, რომ რევაზ ლაღიძე ჩემთვის წერდა სიმღერებს. ალბათ, კიდევ რამდენიმე ათეულმა წელმა უნდა განვლოს, რომ საქართველოს მოევლინოს მისი მსგავსი კომპოზიტორი“, — ასე ფიქრობს **ნანი ბრეგვაძე.**

„...ბევრი რამ მიეცემა დავიწყებას, მაგრამ შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს რევაზ ლაღიძის მზიან მუსიკას“ — ეს მუხრან მაჭავარიანის შეფასებაა...

„რეზო ლაღიძემ ღირსეულად განვლო თავისი გზა, იცხოვრა ლამაზი, მდიდარი, სავსე ცხოვრებით, დაუზოგავი სიუხვით გასცა თავისი დიდი ნიჭი, ადამიანური და შემოქმედებითი ძალები. გაგვამდიდრა თავისი ხელოვნებითა და პიროვნებით“, — ამბობდა **როდიონ შედრინი.**

„ჩვენი საზოგადოება ყოველთვის თაყვანს სცემდა რევაზ ლაღიძის დიდ ტალანტს, მის სასიმღერო შემოქმედებას, რომელიც გვხიბლავს სიწმინდით, სითბოთი და ადამიანობით. მისმა ნიჭიერებამ ასევე გამოანათა საოპერო ფორმატშიც. ოპერა „ლელამ“ გაგვიტაცა, დაგვატკბო და ცრემლებამდე აგვაღელვა“, — აღფრთოვანებული იყო ტიხონ ხრენნიკოვი.

ამჯერად ეს ვიკმაროთ.

დიდება რევაზ ლაღიძის სახელსა და შემოქმედებას.

გელა ქოქიაშვილი,
(ტელ. 51 49 19 97)

ᲒᲐᲡᲙᲓᲘᲗ ᲒᲣᲚᲖᲔ!

ᲡᲐᲜᲐᲪᲔᲗᲨᲘ **გლოვაა გამოცხადებული, რადგან ცხინვალის ციხიდან ერთწლიანი ტყვეობის შემდეგ „სამხრეთ ოსეთის“ ე. წ. პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის შეწყალების საფუძველზე გათავისუფლებულმა ზაზა ᲒᲐᲮᲔᲚᲐᲫᲔᲛ მადლიერება გამოხატა მთავრობის, პირადად პრემიერ-მინისტრის, ᲨᲡ მინისტრისა და კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ შესაბამისი თხოვნით მიმართა სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს!**

კარგად მოგეხსენებათ, რომ ოთხშაბათს ოპოზიციური ტელეკანალიზაციები ლექსო ლაშქარავას დაღუპვის საბაბით სპროტესტო ბოიკოტის რეჟიმში იყვნენ ჩაბმულნი, თუმცა, დაგვეთანხმებით, პოლიტიკური ნებისა და, უბრალოდ, პიროვნული სურვილის შემთხვევაში, ამ მოვლენას მოსახლეობას თუნდაც მოძრავი სტრიქონის საშუალებით მიახარებდნენ.

როგორც მათი ფიურერი იტყოდა, ნურას უკაცრავად! ნაც-ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად სრული სიყრუვე და სიბრმავე! დიახ, როგორ თუ მმართველი პარტიისა და დედაეკლესიის დამსახურების სახალხოდ აღიარებაო!

მეცოცხეებსა და მათ შნირებს რომ ბოღმა ახრჩობთ, გუშინაც დადასტურდა, როცა აქტიურ სადეზინფორმაციო სარბიელზე ერთდღიანი „შატალოს“ შემდეგ „მთავარს“ კვლავაც არ დაუძრავს კრინტი მართლაც გმირული მარტვილობის შემდეგ ოჯახში დაბრუნებული საამაყო თანამემამულის შესახებ, ხოლო მოგვიანებით „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში ბრძენი „აქუს“ თვალხატულა ასულმა და ვინმე გეგელიამ სიმწრით ამოილუღლუღეს, მიზანს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით მივაღწიეთ და „ქართული ოცნება“ ტყუილად ნუ იბრალებს, ჩვენ დავიხსენით ტუსაღიო.

რას ვიზამთ, ასეთია მოძალადე, ხალხის მტერ ჭუუურნალისტთა ჭეშმარიტი სახე. ჩავთვალოთ, რომ ეს პანაშვიდია, ქელეხი კი მაშინ ექნებათ, როცა ესებუა წარსდგება სასამართლოს წინაშე!

ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ

ᲠᲝᲪᲐ ᲐᲜᲛᲧᲝ ᲐᲠ ᲒᲕᲬᲧᲐᲚᲝᲑᲡ

რა დრო იყო? ბაქოს „ნეფთჩის“ ჩვენი „დინამო“ შავ დღეს უთენებდა და საბჭოთა კავშირი თითქმის ორმაგი დადებითი ბალანსით გავაცილეთ: 60 მატჩი, 28 მოგება, 17 ფრე და 15 წაგება.

რაც შეეხება ქართული საკლუბო ფეხბურთის აწმყოს, თუნდაც აზერბაიჯანელ მეზობლებთან მიმართებაში, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იგი სავალალოა.

დიახ, ჩვენი გუნდები იქაურ გრანდს პოპულარული ევროტურნირების ეგიდით უკვე ექვსჯერ შეხვდნენ და ჯერ არ მოუგიათ — 2 ფრე და 4 მარცხი.

ეს სტატისტიკა განსაკუთრებით მტკივნეულია კრისტალბეთ ეროვნული ლიგის ფლაგმანისათვის, რომელმაც, 2016 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ მეექვსედ შეგვარცხვინა.

„ნეფთჩი“ — „დინამო“ 2:1
პირველი მატჩი 2:1

ჩვენ რატომღაც მივეჩვიეთ ფიასკოს მიზეზების გაუბრალოებას და გაჭიანურებული კრიზისი ცალკეულ მოთამაშეთა შეცდომებამდე დაგვყავს, იმას კი შეგნებულად ვაფუჩეჩებთ, რომ შესაცვლელია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „თეთრ-ლურჯთა“ მართვის პოლიტიკა.

აქ, უპირველესად, ვიტალი დარასელიას სახელობის ბავშვთა აკადემიის უდავოდ ნიჭიერ კურსდამთავრებულთა თაობისათვის სწორი მიმართულების მიცემას ვგულისხმობთ, თორემ მოწვეულ ლეგიონერთა უმეტესობა რომ, რბილად თუ ვიტყვით, ვერაფრით აღემატება ადგილობრივებს და ტყუილად გადაყრილ მილიონებში აისახება, თვით შედეგები მოწმობს.

რასაკვირველია, სუსტი სელექცია პრობლემის მხოლოდ აისბერგია, სიღრმეებში წვდომა კი უახლოესი მომავლისთვის გადავდოთ, როცა კონფერენს ლიგაზე გადართულ-დაქვეითებული კახი ცხადაძის გაწვრთნილი დიღმელები ჰაიფას „მაკაბისთან“ ბრძოლებს გადაიხდიან.

მინაწერი: წინა დღეს მეგობარ სახელმწიფოში კახი კალაძის ოფიციალური ვიზიტისას ხელი მოეწერა თბილისისა და ბაქოს დაძმობილების მემორანდუმს, რამაც ბევრ ჩვენ თანამემამულეს იმედი გაუჩინა, იქნებ გულუხვმა მასპინძლებმა სასურველი შედეგით აღგვინიშნონ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა და სამშობლოში გახარებულნი გამოგვისტუმრონო.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

◎ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠᲩᲘ

ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ 500-ათასიანი ტურნირის ორგზის (2018-2019) ჩემპიონი ნიკოლოზ ბასილაშვილი ტიტულის დაცვას დღეს მეოთხედფინალიდან სერბ ლასლო იერესთან შეხვედრით დაიწყებს.

ეს საქართველოს პირველი ჩოგნისთვის გენერალური რეპეტიცია იქნება ტოკიოს ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე, რომელიც 23 აგვისტოდან 8 აგვისტომდე გაიმართება მაყურებელთა გარეშე და მუხლის ტრავმის გამო როჯერ ფედერერი ვერ ითამაშებს ისევე, როგორც რაფაელ ნადალი და კიდევ რეიტინგის რამდენიმე ლიდერი.

დავძენთ, რომ აქამდე ნიკა უბრძოლველად მივიდა, რადგან სტარტზე კენჭისყრით დაისვენა, ხოლო მეორე წრეში კორონავირუსით დაინფიცირებული მისი არგენტინელი მეტოქე სებასტიან ბაიე მოხსნეს ასპარეზობიდან.

◎ ᲮᲣᲗᲘ ᲠᲒᲝᲚᲘ

ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ — 2020-ის სტარტამდე ერთი კვირით ადრე ოლიმპიადის ორგანიზატორებმა უსაფრთხოების დაცვისათვის გამიზნული მორიგი ზომების შესახებ ამცნეს საზოგადოებას.

კერძოდ, აიკრძალა თამაშების პერიოდში ხელის ჩამორთმევის რიტუალი და, რაც მთავარია, საპატიო კვარცხლბეკზე ასული ჩემპიონები და პრიზიორები მედლებს საკუთარ თავს თვითონ გადასცემენ.

პრევენციაც კი რომ ხანდახან უძლურია, იაპონიაში ფორუმზე უკვე ჩასულმა რუსეთის შვიდქალა მორაგბეთა ნაკრების მაგალითმა დაადასტურა, რომლის შემადგენლობაშიც კოვიდვირუსი მასაჟისტს დაუდასტურდა და მთელი გუნდი კარანტინში აღმოჩნდა.

მოკლედ, ეშმაკს ამომავალი მზის ქვეყანაშიც არ სძინავს.

◎ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ

ᲗᲐᲕᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲜᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

მას შემდეგ, რაც ნბა-ს სუპერფინალურ სერიაში „ფინიქსი“ 2:0 დაწინაურდა, ბევრმა ბრძოლის ბედი გადაწყვეტილად მიიჩნია, მაგრამ „მილუოკიმ“ დაამტკიცა, რომ რომელიმე მეტოქისთვის ტიტულის მიკუთვნება ჯერ ნაადრევია.

ვითარება განსაკუთრებით მეოთხე შეხვედრის შედეგმა დაძაბა, რომელიც ვისკონსინელებმა შინ 109:103 მოიგეს და საერთო ანგარიში გაათანაბრეს — 2:2. ნერვების ომი დასკვნითი მეოთხედის სტარტზე თითქოს ჩაცხრა, რადგან სტუმრებმა 9-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ ბოლო წუთებზე „ბაქსი“ დაცვაში შეუდარებლად ათამაშდა და „სანზისთვის“ საბედისწერო გაქცევით — 15:4 დუელს ინტრიგა შეუნარჩუნა. **ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐᲜᲔᲑᲘ:** მიდლტონი — 40 ქულა, ანტეტოკუმპფო — 26 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი („მილუოკი“); ბუკერი — 42 ქულა („ფინიქსი“). 18 ივლისს გამთენიისას სერიის მეხუთე მატჩი არიზონაში გაიმართება.

◎ ᲠᲐᲒᲑᲘ

ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ დაიწყო „ბრიტანელი ლომების“ ფართოდ რეკლამირებული სარაგბო ტურნე სამხრეთ აფრიკაში, რომელშიც მსოფლიო თასის 11 მოქმედი მფლობელით გაძლიერებულმა მასპინძლებმა მეტოქე 17:13 გატეხეს.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა, რომელიც „ბოკემ“ 17:3 მოიგო.

◎ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲙᲖᲔ

ᲒᲐᲛᲝᲫᲕᲔᲧᲜᲓᲐ ახლახან ბრაზილიაში დასრულებული კოპა ამერიკის სიმბოლური ნაკრები, სადაც ყველაზე მეტი — 4 წევრით ტურნირის ტრიუმფატორი — არგენტინაა წარმოდგენილი: მეკარე მარტინესი, მცველი რომერო, ნახევარმცველი დე პაული და, რაღა თქმა უნდა, ფორუმის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი (4 გოლი და 5 შედეგიანი გადაცემა) ლეო მესი.

ამასობაში გაირკვა, რომ ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს ხელს მოაწერს ახალ ხუთწლიან კონტრაქტს „ბარსელონასთან“ და, კატალონიურ გრანდში შექმნილი ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით, თვეში „მხოლოდ“ 20 მილიონ ევროს დათანხმდება.

აღსანიშნავია, რომ კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის თანახმადაც 2023 წელს ამჟამად 34 წლის მესის, სურვილის შემთხვევაში, შეეძლება კარიერა ჩრდილოეთ ამერიკის საფეხბურთო ლიგა **ᲛᲚᲡ**-ში გააგრძელოს.

და კიდევ: გადაწყდა, რომ დამდეგ სეზონში „ბარსა“ და „ატლეტიკო“ გრიზმანსა და საულ ნიგესს გაცვლიან.

სულთათანა

აკადემიკოსი გიორგი ხარაძე



საქართველოს მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 89 წლის ასაკში გარდაიცვალა ფიზიკოსთა ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის დარგში, აკადემიკოსი **გიორგი ხარაძე**.

გიორგი ხარაძე დაიბადა 1931 წლის 15 აგვისტოს ცნობილი ქართველი მათემატიკოსის, არჩილ ხარაძის ოჯახში. 1949 წელს, თბილისის მე-6 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1954 წელს და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში აკადემიკოს მათე მირიანაშვილის ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრაზე .

გიორგი ხარაძემ 1957 წლიდან დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან ინსტიტუტის დირექტორამდე და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემდე. 1961 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს — სადოქტორო დისერტაცია, 1979 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1983 წელს კი — აკადემიის ნამდვილ წევრად.

გიორგი ხარაძის გამოკვლევები დაბალტემპერატურულ მაგნეტიზმის, დაბალგანზომილებიანი სისტემების, კვანტური კრისტალებისა და კვანტური სითხეების თეორიის დარგში ფართოდაა ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. განსაკუთრებით დიდია აკადემიკოს გიორგი ხარაძის დამსახურება ზედაბალი ტემპერატურების პირობებში კვანტური სითხეების კვლევაში, კერძოდ კი ^{3}He-ის ზედენადი ფაზების თეორიის შექმნასა და განვითარებაში. მისმა თეორიულმა გამოკვლევებმა ბიძგი მისცეს ექსპერიმენტული კვლევების მთელ ციკლს მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. გ. ხარაძის მიერ თეორიულად ნაწინასწარმეტყველევი ახალი ტიპის კოჰერენტული სპინური პრეცესიული მდგომარეობები მბრუნავი ^{3}He-ის B ფაზაში ექსპერიმენტულად იქნა დადასტურებული მსოფლიოს მთელ რიგ წამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

გიორგი ხარაძე წლების განმავლობაში იყო აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისა და ჰელსინკის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მბრუნავი ^{3}He-ის თვისებების შესასწავლად ერთობლივად ორგანიზებული დიდი საერთაშორისო კოლაბორაციის „როტას“ აქტიური მონაწილე და თანაკოორდინატორი.

დიდია გიორგი ხარაძის ღვაწლი ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებაში. გ. ხარაძე სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტს 1987 წელს, ქვეყნისთვის გარდამტეხ პერიოდში და მომდევნო რთული სამი ათწლეულის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას, 19 წლის განმავლობაში როგორც დირექტორი და შემდგომ, როგორც სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ბატონი გოგის დიდი დამსახურებაა, რომ ინსტიტუტი დღესაც არ ღალატობს ტრადიციულ დონეს და ინარჩუნებს მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო ცენტრის პოზიციას თავისი საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, პირველ რიგში კი ფუნდამენტური ხასიათის კვლევებით, მიუხედავად მრავალი სირთულისა.

მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევებთან ერთად გ. ხარაძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ის თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს. მისი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა დაეუფლა მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდებს. დღეს გ. ხარაძის მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს და მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

ბატონი გიორგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების საქმიანობაში. მისი მაღალი პროფესიონალიზმი, პრინციპულობა და ობიექტურობა, გამორჩეული ადამიანური თვისებები, ღირსების გრძნობა და კოლეგების მიმართ კეთილგანწყობა ყოველთვის იყო მაგალითი მისი კოლეგებისთვის.

გიორგი ხარაძის დამსახურებები საქართველოს მეცნიერების წინაშე სათანადოდ იყო აღიარებული და დაფასებული. ის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება და მეცნიერებათა აკადემიის ე. ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია ფიზიკის დარგში.

აკადემიკოსი გიორგი ხარაძე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. იგი პირნათლად ემსახურა მშობლიურ ქვეყანას, ქართულ მეცნიერებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გამოთქვამს დიდ მწუხარებას აკადემიკოს გიორგი ხარაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს. გიორგი ხარაძის — შესანიშნავი მეცნიერისა და გამორჩეული პიროვნების ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსი, წლების განმავლობაში ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიის ნამდვილი წევრი

გიორგი ხარაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.
პანაშვიდი 15, 16 VII, 17 საათიდან
გამოსვენება ბინიდან 17 VII, 14 საათზე
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ., 147, მე-3 სადარბაზო.

სანთელი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა „ჩაჩავას კლინიკის“ ღვაწლმოსილი მუშაკი, ექიმი ნეონატოლოგი, მედიცინის დოქტორი

ნათელა ქაჯაია

თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ქალბატონი ნათელა ახალშობილთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, იყო მცოდნე და კეთილსინდისიერი ექიმი, ჭეშმარიტი მეგობარი და თავდადებული დიდი ოჯახის დედა - ის იყო ცნობილი მეან-გინეკოლოგის, პროფესორ გურამ გოცაძის ერთგული და სამაგალითო მეუღლე. ქალბატონმა ნათელამ იცხოვრა ქრისტიანული ცხოვრებით. მისი ინიციატივით აღდგენილ იქნა „ჩაჩავას კლინიკაში“ ღვთისმშობლის ხარების სამლოცველო, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

ქალბატონი ნათელა ღვაწლმოსილი წავიდა ამ ქვეყნიდან... მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგების და ახლობლების გულში. მსუბუქი იყოს ქალბატონ ნათელასთვის საქართველოს მიწა.

„ჩაჩავას კლინიკა“

ნუგზარ ასათიანის არდავიწყება

16 ივლისს ფარიკაობაში პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს ნუგზარ ასათიანს 84 წელი შეუსრულდებოდა.

ძალიან ადრე წავიდა ამ ცხოვრებიდან და დატოვა ჩვენში — თავის კოლეგებსა და მეგობრებში შეუხორცებელი ჭრილობა.

1964 წელს ტოკიოში ნუგზარმა საბჭოთა კავშირის ხმლით მოფარიკავეთა გუნდში აჩვენა თავისი რკინის ხასიათი და დაეხმარა გუნდს უმაღლეს საფეხურზე ასვლაში.

ერთ კვირაში ისევ ტოკიოში იწყება XXXII ოლიმპიური თამაშები, სადაც უკვე მეორედ მიიღებს ოლიმპიადაზე მონაწილეობას ჩვენი ცნობილი მოფარიკავე სანდრო ბაზაძე (წინა ოლიმპიადაზე მე-13 იყო).

ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს მოხმალავეთა ნაკრებს, რომელსაც ჰქონდა რეალური შანსი, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მოეპოვებინა გუნდური ლიცენზია (ჯერ არც ერთ გუნდურ სახეობაში, სამწუხაროდ, არ გვაქვს ლიცენზია), მაგრამ ამის ანალიზი ალბათ მომავლის საქმეა... ჩვენ კი ნიჭიერ სპორტსმენს სანდრო ბაზაძეს ტოკიოდან მედლით დაბრუნებას ვუსურვებთ!

ნუგზარის თანამებრძოლები და მეგობრები —
იური ოსიპოვი, გურამ კოსტავა, გივი ცაგარელი, არჩილ გოგელია, ზურაბ ცქიტიშვილი, ლუდვიგ ღაღანიძე, ზაზა მჭედლიძე, დავით სახვაძე, ზურა ბოკუჩავა, გივი ანდრიაძე.

საფარიკაო ბილიკის ოსტატები — საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და თასის მფლობელები, სპორტის ოსტატები (მარცხნიდან) **ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა, იური ოსიპოვი.**

გლდანში ახალგაზრდა კაცი მოკლეს

გლდანში 35 წლამდე კაცი სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარს წინ დაპირისპირება უძღოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მკვლელობაში დამნაშავე იდენტიფიცირებულია. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვას გულისხმობს.

მოქალაქემ დანით თვითდაზიანება მიიყენა

ბათუმში მოქალაქემ, რომელსაც გამოსახლებას უპირებდნენ, მუცელში დანა ჩაირტყა. „ტვ 25“-ის ინფორმაციით, ფაქტი მაშინ მოხდა, როცა აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლები საცხოვრებლიდან გამოსახლებას უპირებდნენ. შემთხვევა ფრიდონ ხალვაშის 223 ნომერში მოხდა.

„ᲕᲐᲟᲐᲝᲑᲐ“ ᲩᲐᲠᲒᲐᲚᲨᲘ

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ მშობლიურ სოფელ ჩარგალში ვაჟა-ფშაველას 160 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“ გაიმართა, რომელსაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

ღონისძიების ფარგლებში ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ეზოში გაიმართა ქადის გატეხვის ტრადიციული ცერემონია. ასევე, ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის ავტორობით გამოცემული ორენოვანი კრებულის „ვაჟა-ფშაველას ნაკვალევზე“ პრეზენტაცია. წიგნის შესახებ თავად ავტორებმა და ასევე, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ ისაუბრეს. საიუბილეო საღამოს ფარგლებში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთავის თეატრმა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ წარმოადგინა (რეჟისორი სოსო ნემსაძე).

ჩარგალში სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“ 1961 წლიდან აღინიშნება.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ

20 ᲬᲚᲘᲡ ქართველი პიანისტი სანდრო გეგეჭკორი „მარია კანალსის“ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია. დიპლომთან ერთად მას ფულადი ჯილდო — 25 ათასი ევროც გადაეცემა.

საერთაშორისო კონკურსის ფინალი ოთხშაბათ საღამოს ბარსელონაში ჩატარდა. ქართველმა პიანისტმა კატალონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტი დიდ დარბაზში დაუკრა.

ᲞᲐᲞᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲬᲔᲠᲔᲡ

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘ ფრანცისკე ოპერაციიდან 10 დღის შემდეგ საავადმყოფოდან გაწერეს.

რომის პაპს კუჭზე გეგმური ოპერაცია 4 ივლისს ჩაუტარდა. ის რომში, ჯემელის სახელობის კლინიკაში იყო მოთავსებული. მანამდე ცნობილი გახდა, რომ ექიმებმა 84 წლის პონტიფექსს დიეტის დაცვის რეკომენდაცია მისცეს.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

16 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲝᲒᲐᲐ — ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ სულ რამდენიმე წელია, რაც დაწესდა ყოვლადწმიდა სამების კიდევ ერთი დღესასწაული — სიყვარულის დღე!

...და, მართლაც ყველაფერში ვლინდება, რომ ღმერთი არის სიყვარული. ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება ადამიანებს შორის და ზოგადად დედამიწაზე.

აი, რას ამბობს წმინდა იოანე ღვთისმეტყველი: „ღმერთი არის სიყვარული“!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ რა არის სიყვარული... ადამიანი ვერასდროს ჩასწვდება ღვთის არსს, ასევე ვერ ახსნის, რა არის სიყვარული... ერთი მეცნიერი ამბობს — მე არ მინახავს ღმერთი, მე ვნახე მხოლოდ მისი კვალი, რომელიც გამოვლინდა ბუნებაში“.

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲛᲫᲦᲝᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ მძღოლმა მაურო მასკეტიმ სკოლის 25 მოსწავლე ავტობუსში გაჩენილი ხანძრისგან გადაარჩინა.

მძღოლს 14-16 წლის ბავშვები საზაფხულო ბანაკში მიჰყავდა, როდესაც შეამჩნია, რომ ძრავას პრობლემები შეექმნა. მან ბავშვები ავტობუსიდან სწრაფად გაიყვანა, რამდენიმე წუთში კი მანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

ინციდენტი მილანთან ახლოს, ერთ-ერთ გვირაბში მოხდა. მეხანძრეები შემთხვევის ადგილას სწრაფად მივიდნენ და ცეცხლი ჩააქრეს, თუმცა ავტობუსი სრულად დაიწვა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲚᲝᲙᲘᲜᲘᲗ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ პრეზიდენტი ჟაირ ბოლსონარუ კლინიკაში გადაიყვანეს ქრონიკული სლოკინის გამო, რომელიც უკვე თითქმის 2 კვირაა გრძელდება.

ბოლსონარუ ქალაქ ბრაზილიის სამხედრო ჰოსპიტალში გადის მკურნალობას და თავს კარგად გრძნობს. მან ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ 24-48 საათი უნდა გაატაროს.

თავად პრეზიდენტი სლოკინს გარკვეული მედიკამენტების მიღებას უკავშირებს.

2018 წელს ბოლსონარუ საარჩევნო კამპანიის დროს დანით მუცელში დაჭრეს და ნაწლავები დაუზიანეს. ამის შემდეგ მან რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა, რამდენიმე ოპერაცია თავდასხმას არ უკავშირდება.

ᲠᲔᲞᲔᲠᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲩᲐᲪᲮᲠᲘᲚᲔᲡ

ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲨᲘ რეპერი Indian Red Boy პირდაპირ ეთერში მოკლეს. არსებული ინფორმაციით, 21 წლის კაცი, რომლის ნამდვილი სახელიც ზერაილ დიჟონ რივერაა, Instagram-ზე ლაივს საკუთარ ავტომობილში წერდა, როდესაც მანქანასთან უცნობი ადამიანი მივიდა და კაცს სულ მცირე 12-ჯერ ესროლა.



პოლიციაში ვარაუდობენ, რომ რივერა რომელიმე ბანდის წევრი იყო და მკვლელობას სწორედ ამ ფაქტს უკავშირებენ. თავდამსხმელი იდენტიფიცირებული ამ დრომდე არ არის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1430; ᲔᲕᲠᲝ - 3.7084;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.3603;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.2381; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3644;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8470;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3394.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+15,	ᲓᲦᲔ	+33
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10,	ᲓᲦᲔ	+31
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+18,	ᲓᲦᲔ	+38
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+13,	ᲓᲦᲔ	+35
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+19,	ᲓᲦᲔ	+32

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge